# ახალი საუბარი

09-15.04.2020

№12 (886) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge


# წიგნები და ფილმები... და წიგნები

*ლიტერატურასთან მისასვლელი მოტივი ხშირად საკუთარი მოლოდინ[ებ]ის დადასტურებაა. მასში ვეძებთ ლეიმს, ჰომელსაც ჩვენი ემოციური ცვლილება ჩამოეყალიბება. და ეს გასაგებია, ჰაკი ნაკითხვა გულისხმობს ანა მხოლოდ ნაკითხულიდან აზრის გამოტანას, ანამედ აზრის შეტანასაც, მკითხველის მხრიდან ტექსტში საკუთარი გამოცდილების ჩანერგვას და შემდეგ უკვე მის „ამოღებას". და ჰაკი ტექსტის ნაკითხვა უეჭველად მოიცავს მის ინტერპრეტირებას, შესაბამისად, მკითხველი ისევე მონაწილეობს ნანარმოების თხზვაში, როგორც ავტორი. ამიტომაც გაჩნდა მეოცე საუკუნის მოდერნიზმში მკითხველის, როგორც თანაავტორის, იდეა. 1967 წელს კი, ოლან ბარტმა დანერა საკვანძო ესე „ავტორის სიკვდილი", რითაც მკითხველი ანათუ თანავტორად, ანამედ ერთადერთ ავთენტიკურ ავტორად ნარმოაჩინა.*

*ოლების ასეთი გადანაწილება მკითხველის პასუხისმგებლობას ზრდის, მეორე მხრივ კი, გვეხმარება, ლიტერატურასთან მისასვლელი დისტანცია შევამოკლოთ და ცოტა ან იყოს, გავუშინაურდეთ კიდეც. თუმცა, ამ პროცესში ან უნდა გამოგვჩრეს ის, რაც ლიტერატურას ლიტერატურად აქცევს, რადგან ხშირად მისგან მოვითხოვთ იმას, რაც მასში ანაა – პასუხს. მაგრამ ლიტერატურა ან აჩენს პასუხებს, ლიტერატურა აჩენს კითხვებს. პასუხებისთვის ასებობს გუგლი, 911 და ჩვენი ჰომელიმე მეზობელი, ჰომელსაც, როგორც წესი, ყველაფერზე აქვს პასუხი. ლიტერატურას ან აინტერესებს ესთეტიკური ბულიტერია, ის კითხვებს აღძრავს, და ამის მერეც, ის მხოლოდ შეამავალია დასმულ კითხვასა და გაცემულ ან სულაც გაუცემელ პასუხს შორის.*

*ოლესაც წიგნს ვკითხულობთ, აღმოვაჩენთ, ჰომ წარმოსახვის ჯაჭვი, ჰომლითაც წიგნზე ვართ მიბმული, თანდათან, ფუსფეფუსფეფ გრძელდება და იძენს მასშტაბებს. ამ მხრივ, ლიტერატურის ჰოლი შეუდარებლად მეტია, ვიდრე, მაგალითად, კინოინდუსტრიისა, ჰომელიც მზა მოდელებს, დასრულებული ვიზუალურ ხატებს გვთავაზობს და ჩვენს წარმოსახვას, გარკვეული აზრით, აზარმაცებს. მაგალითად, ფილმში „ტროა" მშვენიერი ელენე ანის ისეთი, როგორიც ანის, ხოლო ჰომეროსთან ანის ისეთი, როგორიც ჩვენს გულს გაუხარდება. მიუხედავად იმისა, ჰომ „ილიადაში" ელენე სულ მთლად ჰამლეტერმე (ისიც კონკრეტული ვიზუალური აღნერის გარეშე) ჩნდება, ჩვენს წარმოსახვაში მისი ხატი ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნება, ხოლო ფილმში ჩვენისოჰმა წარმოსახა ჩვენი წარმოსასახი და მზა სახით „მოგვართვა" ლაიან კრეგერი (ჰომელიც, ჰა დასამალია და, ძალიანაც მიმზიდველი ვინმეა). ერთი სიტყვით, წიგნის კითხვისას ელენე ჩვენი პირადი ძალისხმევის, ემოციური დაძაბულობისა და წარმოსახვის შედეგად ილებს კონკრეტულ სახეს, ფილმის ყურებისას კი, ასეთი სამუშაოს განევა ან გვინევს – ეს სამუშაო ჩვენისოჰმა აგვარიდა. ცხადია, ამ თეორიაზე უამრავი სამეცნიერო ჯელევაა შექმნილი და დაინტერესებულ ადამიანს მარტივად შეუძლია ინტერნეტში მოიძიოს სტატისტიკებით გამყარებული ნაშრომები, ჰომლებიც ამას ადასტურებს. მანამდე კი, გავიხსენებ ერთ წიგნს, ჰომელიც ამ საკითხს ეხება და ჰომლის კითხვასაც ვერჩევდი მოსნავლეებსაც. 2000-იანების დასაწყისში დეგლას ჰაშკოვმა დანერა საკვანძო წიგნი „სქრინეიჯერები" (ეკრანის თაობა). ეს ნეოლოგიზმი, ცხადია, თინეიჯერის გადათამაშებული ვერსიაა. ეს წიგნიც სწორედ ლიტერატურისა და ვიზუალური ინდუსტრიის დიალექტიკურ ნერეს უტრიალებს.*

*ჩემი დაკვირვებით, წიგნებსა და ფილმებს შორის განსხვავება იგივეა, რაც ინფორმაციასა და ცოდნას შორის. ეს დეალიზმი შესანიშნავად გამოკვეთა ჩემმა საყვარელმა დიდმა ქართველმა პოეტმა თავის პოემაში:*

*„ჩვენ ვამბობთ, ჰომ*
*ინფორმაცია – ეს არის საგანთა ჭვრეტა,*
*ცოდნა კი – საგანთა ფლობა.*
*ჩვენ ვამბობთ, ჰომ*
*მათ შორის ზღვარი მკრეხ არის,*
*მაგრამ – არსებითი.*
*ჩვენ ვამბობთ, ჰომ*
*ინფორმირებული – ესაა ვიზიონერი,*
*მცოდნე კი – მისიონერი*
*და მისი ცოდნა გაედინება,*
*და ავსებს არმცოდნეთა არცოდნას".*

*ჰამლეტერმე დღის წინ ინტერნეტგამოცემა „ბუბლიკაზე" გამოჩნდა თათა ცოფურაშვილის მიერ თარგმნილი იერზენ ჰაბერმასის ინტერვიუ, ჰომელშიც ფილოსოფოსი ბოსტროვიდერ სამყაროზე მსჯელობს. აქ მენიშნა ერთი ფრაზა, ჰომელიც მთელი ინტერვიუს ლეიტმოტივად გამოდგებოდა: „ამდენი ცოდნა ჩვენი არცოდნის შესახებ აქამდე არასდროს გვქონია", – ამბობს ჰაბერმასი. ცხადია, ასოციაციურად მიანიშნებს სოკრატეს საქვეყნოდ ცნობილ ფრაზაზე: „მე ვიცი ის, ჰომ არაფერი ვიცი". თუმცა სოკრატეს შემთხვევაში ცოდნის დასაზღვრულობაზეა საუბარი, ჰაბერმასის ციტატა კი არცოდნის უსაზღვრობაზეა.*

*ამ ინტერვიუმ გამახსენა პატრიკ ზიუსკინდის ერთი ცოცხალი ნოველა, ჰომელიც უკიდურესად მინიმალური მხატვრული ხერხებით მაქსიმალურ სათქმელს ამბობს (ამ ნოველასაც სიამოვნებით ვურჩევ მოსნავლეებს).*

*ზიუსკინდი ყველამ იცის მისი მთავარი წიგნით, ჰომელსაც „სუნამო" ჰქვია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ეს პატარა ნანარმოებიც. ამ თითქმის გენიალურ ნოველას „ლიტერატურული ამნეზია" ჰქვია. ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაემართა ავტორს ამნეზია, ამ დროს, ძალიან უნდა გაიხსენოს წიგნი, ჰომელშიც სწორედ ამნეზიაზე წერია, მაგრამ ვერა და ვერ იხსენებს და თავის მხრივ, ამას აბრალებს იმ ავადმყოფობას, ჰომელზეც ერთგან ცნობილმა ავსტრიელმა ფსიქოლოგმა მიუთითა, ჰომლის სახელი, გასაგები მიზეზის გამო, ასევე არ ახსოვს და ა.შ. და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით, ამ ნევროზამის ფონზე ავტორი იხსენებს ათას წვრილმანს, მაგრამ ვერ იხსენებს მთავარს – თუ რისი თქმა უნდოდა. ეს ნამცეცა ნოველა გვიყვება, პრაქტიკულად, არაფრის შესახებ, რადგან ის, რაც რაღაც იყო, ან უნდა ყოფილიყო, ავტორმა ვერაფრით მოიხელთა. ზიუსკინდის „არაფერი" მთელი თანამედროვე სამყაროს კრიზისის სასტიკი იერსტრასიაა – იმ კრიზისისა, რაზეც ჰაბერმასი მიუთითებდა – გაბმული, უნყვეტი მეტატექსტის გამოყენებით ავტორმა გვიჩვენა, ჰომ პოსტმოდერნის ეპოქაში ადამიანს არ აქვს ცოდნა არაფრის შესახებ, მაგრამ აქვს ნახევარცოდნა ყველაფრის შესახებ (მეტაცოდნა), ავტორი ვლარ წერს ტექსტს, მას მხოლოდ ნახევარტექსტის ანე მეტატექსტის იმედი უნდა ჰქონდეს. ამ ყველაფრის ფონზე კი, ადამიანიც ალარაა ადამიანი, ის არის ნახევარადამიანი, ესე იგი – მეტაადამიანი. შეძლებს კი კინოინდუსტრია ასე ფუნდამენტურად ჩეფლექსირებას მსგავს საკითხზე? არ ვიცი.*

*ბოლოსკენ კი მაინც განვმარტავ, ჰომ მე კი ერთი შეხედვით ავითვალწუნე კინოინდუსტრია (არ ვიცი, გადაიტანს ამას ჰოლივუდი ვითომ?!), მაგრამ, სინამდვილეში, ცხადია, ამ ინდუსტრიის სიკეთეებით ხშირად ვსარგებლობ და ზოგ წიგნზე არანაკლებ სიამოვნებს მანიჭებს ზოგი ფილმი. ასეთია, მაგალითად, „მკვდარი პოეტების საზოგადოება". სწორედ ამ ფილმის ციტირებით გავასრულებ: „ჩვენ ვკითხულობთ და ვწერთ ლექსებს არა იმიტომ, ჰომ ეს ლამაზია, არამედ იმიტომ, ჰომ ადამიანები ვართ. ადამიანი კი სავსეა ვნებებით, მისწრაფებებით. მედიცინა, ეკონომიკა, ბიზნესი, გამოყენებითი მეცნიერებები – ყველაფერი ეს კეთილშობილურია და ჩვენი ცხოვრებისთვის ძალიან საჭირო. მაგრამ პოეზია, სილამაზე, ჰომანტიკა, სიყვარული – ეს ისაა, რისთვისაც ვცოცხლობთ".*

პაატა შამუგია

#ეროვნული #ენა

ინტერვიუ ნუცა კობახიძესთან

# ლოკალური გამოსავლის ძიებაში – მასობრივ დისტანციურ სწავლებაზე გადასასვლელად არც ერთი ქვეყანა მზად არ აღმოჩნდა

*პანდემიით გამოწვეული სკოლების დახურვის გლობალურ პრობლემას ქვეყნები დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმებით დაუპირისპირდნენ, მართალია, სწავლების ამ ფორმაზე გადასასვლელად არც ერთი ქვეყანა არ აღმოჩნდა ბოლომდე მზად, მაგრამ გამოსავალი მაინც იპოვეს. როგორია მსოფლიო ტენდენციები ამ მიმართულებით და კრიზისის დროს, რა ძირითადი ხარვეზები გამოიკვეთა ჩვენი განათლების სისტემაში, ამ თემებზე გვესაუბრება ჰონგ კონგის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, საერთაშორისო და შედარებითი განათლების მკვლევარი ნუცა კობახიძე, რომლის მხარდაჭერაც, გამოცდილების გაზიარების კუთხით, ძართველი მასწავლებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.*

**✓ ქალბატონო ნუცა, თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოში სწავლის შეწყვეტას და ონლაინ სწავლებაზე გადასვლის ინიციატივას სოციალურ ქსელში საკუთარი გამოცდილების გაზიარებით გამოეხმაურა.**

➪ ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩემს ფეისბუქ გვერდზე დავწერე, ჩემი, როგორც ლექტორის, გამოცდილება უნივერსიტეტში ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მოგვიანებით, ასევე, გავაზიარე ინფორმაცია სკოლებში ონლაინ სწავლების ფორმებზე, როგორც მშობელმა. ამან დიდი ინტერესი გამოიწვია. გარდა პირადი გამოცდილებისა, ჩემთვის, როგორც საერთაშორისო და შედარებითი განათლების მკვლევრისთვის, საინტერესოა გლობალური სურათი, როგორ პასუხობენ საზოგადოებები ამ დიდ გამოწვევას, რა ადგილობრივი ინიციატივები ჩნდება, რა პრობლემები იკვეთება.

**✓ მასწავლებლებისთვის დახმარების გასაწევად სპეციალური ჯგუფი შექმენით – „ონლაინ სწავლება საქართველოში“ – რატომ გაგიჩნდათ ამ ჯგუფის შექმნის იდეა?**

➪ როგორც აღვნიშნე, ჩემს ფეისბუქ სტატუსებს დიდი ინტერესი მოჰყვა, ამიტომ გადავწყვიტე, შემექმნა ფეისბუქის ჯგუფი, რომ ერთ სივრცეში მომეყარა თავი დისტანციური სწავლების რესურსებისთვის, სადაც ადამიანები საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს გაუზიარებდნენ, დასვამდნენ შეკითხვებს, გაიგებდნენ საერთაშორისო პრაქტიკაზე, შეეცდებოდნენ მსჯელობას და შექმნილი კრიზისიდან გამოსავლის მოძებნას, ან უბრალოდ ერთმანეთს გაამხნევებდნენ ამ რთულ პერიოდში. ეს იყო კორონავირუსის დროს ამ მიზნით შექმნილი პირველი ფეისბუქ ჯგუფი საქართველოში. მალევე მოხდა იდეის კოპირება და არაერთი ჯგუფი შეიქმნა.

ჩვენი ჯგუფის ძლიერი მხარე ის არის, რომ ის აერთიანებს არა მხოლოდ პრაქტიკოს მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებს, ლექტორებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციების წარმომადგენლებს, არამედ განათლების მეცნიერების სპეციალისტებს საქართველოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, მედიის წარმომადგენლებს, განათლების ბიზნესისა და ტექნოლოგიების სპეციალისტებს, პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღებებს და განათლების საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. ჯგუფის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს იტალიაში მცხოვრები განათლებისა და ტექნოლოგიების ქართველი მკვლევარი მაკა ერაძე, ასევე ძალიან გვეხმარება უკრაინაში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელი თათია ჯონსონი, რომელმაც კორონავირუსის დროს ონლაინ სწავლება საქართველოში თავის სამაგისტრო ნაშრომად აირჩია. ასევე უამრავი სხვა პროფესიონალი, რომლებიც უანგაროდ გვიზიარებენ თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას. მინდა, თითოეულ მათგანს დიდი მადლობა გადავუხადო.

**✓ საინტერესოა თქვენი შეფასება, როგორ შეძლო ჩვენმა განათლების სისტემამ ონლაინ სწავლებაზე გადასვლა?**

➪ მასობრივ დისტანციურ სწავლებაზე გადასასვლელად არც ერთი ქვეყანა მზად არ იყო, მათ შორის, არც საქართველო. უნივერსიტეტები მეტ-ნაკლებად ადვილად გაერკვნენ სიტუაციაში და სწრაფადვე იმოქმედეს. რაც შეეხება სკოლებს, დიდი აქტიურობა და ენთუზიაზმი გამოიჩინეს მასწავლებლებმა. ბევრი მასწავლებელი გამოჩნდა, რომელმაც სწრაფად აითვისა ტექნოლოგიები, ბევრმა ვიდეოები ჩაწერა და სხვას გაუზიარა გამოცდილება და პრაქტიკა. ამ ეტაპზე, როდესაც ტექნოლოგიების საკითხი მეტ-ნაკლებად გაარკვიეს, მასწავლებლებმა უფრო სიღრმისეული კითხვების დასმა დაიწყეს, რაც შეეხება ონლაინ სწავლების პედაგოგიურ მხარეს, მისაღწევ მიზნებს, უკუკავშირის ფორმებს, შეფასების კატეგორიებს. ეს არის ე.წ. grassroots ინიციატივები, თვითორგანიზების მაღალი დონე, რაც ჯანსაღი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.

საჯაროსთან შედარებით, კერძო სკოლების დიდმა ნაწილმა უფრო სწრაფად შეძლო ორგანიზება, რადგან მათ ამის მეტი რესურსიც აქვთ და ანგარიშვალდებულებაც მშობლების წინაშე. კერძო სკოლა ბიზნეს მოდელით იმართება და რისკი დიდი იყო, რომ თუ ისინი სწრაფად არ შესთავაზებდნენ ხარისხიან სერვისს, მშობლები თანხას უბრალოდ არ გადაიხდიდნენ. ასეთი ტალღა ბევრ ქვეყანაში აგორდა. კერძო სკოლის ბევრ მშობელს მაინც გაუმართლებლად მიაჩნია სწავლის იმავე ოდენობის გადასახადის დატოვება, რასაც ჩვეულებრივ დროს იხდიან ხოლმე, რადგან მათ მოუწიათ მასწავლებლის როლის შეთავსება სახლში. ბევრი მშობელი სამსახურის გარეშე დარჩა, ამიტომ სწავლის გადასახადის საკითხი ბევრგან მწვავედ დგას. როგორ უნდა მოიქცეს კერძო სკოლა ამ ვითარებაში, მზა რეცეპტი არ არსებობს. თითოეული სკოლა, მშობლებთან შეთანხმებით და არსებული რესურსების გათვალისწინებით, უმკლავდება ამ პრობლემას.

**✓ მასწავლებლებმა როგორ გაიგეს დისტანციური სწავლება?**

➪ თავიდან ბევრმა არასწორად გაიგო. ჩათვალეს, რომ ეს უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი სკოლის რეპლიკა, ყველა გაკვეთილით, დავალებით, აქტივობებით. თუმცა, ამ ეტაპზე, ისინი მეტ-ნაკლებად გაერკვნენ სიტუაციაში, მაგრამ მაინც ბევრი კითხვაა დარჩენილი, რაც განათლების სამინისტროსგან მოითხოვს, მუდმივ რეჟიმში, მასწავლებელთა და საზოგადოების დეტალურ ინფორმირებას, რომ თავიდან ავიცილოთ დაბნეულობა და გაურკვევლობა.

**✓ შექმნილი კრიზისის დროს, თქვენი შეფასებით, რა ძირითადი ხარვეზები გამოიკვეთა ჩვენს განათლების სისტემაში?**

➪ უმწვავესად გამოიკვეთა განათლების სისტემაში არსებული უთანასწორობისა და ხელმისაწვდომობის პრობლემა. ბევრ მასწავლებელს და მოსწავლეს არ აქვს კომპიუტერი და ინტერნეტი და ეს მხოლოდ მაღალმთიანი სოფლების მოსწავლეებს არ ეხებათ. ბევრ ადამიანს დედაქალაქშიც შეექმნა ეს პრობლემა.

1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასა და, ასევე, სხვა არაერთ საერთაშორისო შეთანხმებაში განათლება წარმოადგენს ადამიანის უფლებას. UNESCO-ს მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანს (SDG4) და განათლების 2030 წლისთვის მისაღწევ საერთაშორისო მიზნებს სწორედ ეს ფუნდამენტური პრინციპი უდევს საფუძვლად. რაც მთავარია, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, განათლება მიაწოდოს საქართველოს ყველა მოქალაქეს.

ტექნოლოგიური უფსკრულის პირობებში, საყოველთაო განათლების მიცემა ქვეყანაში მცხოვრები ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის მაღალმთიანი რაიონებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა საქართველოსთვისაც და სხვა ქვეყნებისთვისაც. მომავალში, საქართველოს ძალიან ბევრი მუშაობა მოუწევს იმისათვის, რომ გაიმართოს სისტემები, რომლებიც კრიზისების დროს უზრუნველყოფენ დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობას თითოეული მოსწავლისთვის.

**✓ „ტელესკოლა“ – რას გვეტყვით ამ პროექტის შესახებ?**

➪ ზემოთ რაზეც ვისაუბრე, სწორედ იმ მიზნების შესასრულებლად აუცილებელი იყო ტელესკოლის პროექტის განხორციელებაც. ტელევიზია საგანმანათლებლო მიზნებისთვის აქამდეც უნდა გამოგვეყენებინა. ტელევიზიით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დამკვიდრებული პრაქტიკაა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში.

კორონავირუსის კრიზისზე საპასუხოდ სატელევიზიო გაკვეთილები ბევრმა ქვეყანამ გააკეთა, ან უახლოეს მომავალში გეგმავს. ტელესკოლა იქაც აღწევს, სადაც მოსწავლეებს ინტერნეტი და კომპიუტერი არ აქვთ. ტელესკოლის გარეშე, კიდევ უფრო გაიზრდებოდა იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომელიც განათლების მიღმა დარჩებოდა. ცხადია, ვერც ტელესკოლა და ვერც არსებული ონლაინ სწავლების ფორმატები, პედაგოგიური თვალსაზრისით, ვერ იქნებიან სრულყოფილი და ვერ ჩაანაცვლებენ სკოლას. არსებულ ვითარებაში, საჭიროა, რომ ტელესკოლის ფორმატი შეძლებისდაგვარად დაიხვეწოს და, რაც მთავარია, ინტერაქტიული კომპონენტი დაემატოს და უფრო მრავალფეროვანი გახდეს.

ისე კი, ზოგადად, დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით ძალიან უცნაური დისკუსია წარიმართა: როგორც კი ახსენებ, რომ კარგია მაღალტექნოლოგიური მიდგომების გამოყენება ონლაინ სწავლებაში, როგორიცაა, მაგალითად, Google classroom, Microsoft teams-ით, ან Zoom-ით გაკვეთილების ჩატარება, მაშინვე გაჩერებენ და გეუბნებიან, რას ლაპარაკობ, ქვეყნის მასშტაბით, ეს ვერ განხორციელდება, რადგან ყველას არ მიუწვდება ამაზე ხელი, ყველა არ არის მზად და უტოპიაა. როცა იტყვი, რომ ამის პარალელურად, შედარებით დაბალტექნოლოგიური მიდგომებიც უნდა გამოვიყენოთ, რაც გულისხმობს ტელესკოლას ან მობილური ტელეფონის გამოყენებას, გეუბნებიან, რომ რაღა დროს ეს არის, არ არის სრულყოფილი, ხარვეზები აქვს და არც ეს ვარგა.

ვფიქრობ, ამგვარ დამოკიდებულებაში ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მაქსიმალიზმი ჩანს: ან იდეალურად უნდა გავაკეთოთ, ან საერთოდ უარი უნდა ვთქვათ. გვიჭირს, ვიყოთ პრაგმატულები, გამოვიყენოთ ყველა არსებული შესაძლებლობა, რომ განათლების ხელმისაწვდომობა გავზარდოთ. უნდა რეალისტურად შევაფასოთ ის ვითარება, რომელშიც აღმოვჩნდით და ის რესურსები, რომლებიც გვაქვს (ადამიანური, ფინანსური, ტექნოლოგიური, ადმინისტრაციული).

კრიტიკა ჯანსაღია, როცა გონივრულ დასაბუთებას ემყარება, ალტერნატიულ გზას გვთავაზობს. ტელესკოლას დასახვეწი ბევრი ასპექტი აქვს, თუმცა, ხანდახან ყველას გვავიწყდება, რომ ეს ინიციატივა საგანგებო ვითარებაში, კომენდანტის საათის პირობებში ხორციელდება. ტელესკოლის

## ინტერვიუ ნუცა კობახიძესთან

მასწავლებლები, საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად, მიდიან ტელევიზიაში, კამერებთან ბევრი მომზადების გარეშე დგანან. არ მეთანხმებით, რომ ბევრი მომზადების გარეშე, ღია გაკვეთილების მთელი ქვეყნის წინაშე გატანას დიდი გამბედაობა და მაღალი პროფესიონალიზმი სჭირდება? თან როცა იცი, რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაგატარებენ. იმედი მაქვს, ტელესკოლის მასწავლებლები მოტივაციას არ დაკარგავენ და იმავე ენთუზიაზმით გააგრძელებენ მუშაობას. ტელესკოლა დისტანციური სწავლების მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა და მასთან ერთად, ბევრი მასწავლებელი არაერთ ინტერაქტიულ პლატფორმას იყენებს.

**✓ როგორია მსოფლიო ტენდენციები ამ მიმართულებით? ვგულისხმობ, კრიზისით შექმნილ სიტუაციაში, რა გამოსავალი იპოვეს მოწინავე ქვეყნების განათლების სისტემებმა?**

➪ საქმე იმაშია, რომ პანდემიამ თანაბარ პირობებში მოაქცია ყველა ქვეყანა, მათ შორის განვითარებადიც და განვითარებულიც, სკოლები და უნივერსიტეტები თითქმის ყველგან დაიხურა. ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტი ზარალი მიადგა განვითარებულ ქვეყნებს. ამ ვითარებაში, საინტერესო სიტუაცია მივიღეთ: მაშინ, როცა ვერც ერთი წამყვანი ქვეყანა მოდელად ვერ გამოდგა, ვერც საერთაშორისო ორგანიზაციებმა ვერ შემოგვთავაზეს კრიზისთან გამკლავების გზები, ცალკეულმა ქვეყნებმა თავად დაიწყეს ლოკალური გამოსავლის ძიება. გამოცოცხლდა სამოქალაქო საზოგადოება, გაჩნდა ახალი ინიციატივები, გამოჩნდნენ ახალი აქტორები. სკოლების დახურვის გლობალურ პრობლემას ქვეყნებმა ლოკალურად უპასუხეს, ისე, როგორც შეძლეს. ამან კარგად გამოაჩინა თითოეულ საზოგადოებაში არსებული ინტელექტუალური რესურსები და თვითორგანიზების უნარი, რომელიც მანამდე ნაკლებად იყო ცნობილი.

**✓ რა მდგომარეობაა ახლა თქვენთან, ჰონგ კონგში?**

**რა ეტაპზე ხართ?**

➪ ჩვენ გადავედით დისტანციური სწავლების შეფასების ეტაპზე. ხელახლა ხდება გააზრება იმისა, რა გაკეთდა და რამდენად ეფექტურად, რა უნდა გაგრძელდეს იმავე რეჟიმით და რა შეიცვალოს. იმედია, საქართველოც მალე გადავა ამ ეტაპზე. იმისთვის, რომ ობიექტურად შევაფასოთ, რა ინიციტივები განხორციელდა, რამ იმუშავა და რამ – ვერა, საჭიროა, ემპირიული მონაცემები შევაგროვოთ და მეცნიერული კვლევები ჩავატაროთ, შედეგების საფუძველზე კი, ახალი სისტემები ავაწყოთ, არსებული მიდგომები დავხვეწოთ. პანდემიები და კრიზისები, სხვადასხვა რეგულარობით, სულ იქნება. ეს შანსი საქართველომაც და სხვებმაც თავიანთ სასარგებლოდ უნდა გამოიყენონ, რომ მომავალ კრიზისს უფრო მომზადებულები დავხვდეთ.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

## მასწავლებლის პოზიცია




**✓ სახლი მშვენიერი სამყაროს დამტევი სივრცეა!**
**✓ სახლი შემეცნების ათვლის წერტილია!**

**ნინო ტონია**
*ა/ა/იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**მოსწავლეები ასკვნიან,** რომ **სახლი, შინ ყოფნა** ქვეყნიერებასთან დაახლოების გარანტია, სტაგნაციის საპირისპიროდ – აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატულებაა; თვითრეგულაციისა და განვითარების მიღწეული დონის ამაღლების, პიროვნული დახვეწის საშუალებაა და რომ **სახლიც** აკადემიური სივრცეა!

**მათ სურთ სწავლა შეუწყვეტლივ, აკადემიური შესვენების გარეშე,** ამიტომ ცდილობენ გამუდმებით ისწავლონ **შინ** და „გარეთ“! ახერხებენ ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას, ხოლო მათ, ვინც ამ პროცესის მიღმა რჩება, სამომავლოდ ურჩევენ ექსტერნატის წესით სარგებლობას და მათთვის გამოითხოვენ სახელისუფლებო წრეებიდან სათანადო თანადგომას!

მათ აქვთ **პერსპექტიული ხედვა,** ფიქრობენ, რომ მალე დადგება „ჟამი შენებისა“ და მზად უნდა იყვნენ მშენებლობისათვის!

ახალ ვითარებაში მოსწავლეები ყველა **„ხიდს“ ამთელებენ** და ,,უსაზღვრო დროთა სივრცეების **მოცვას**'' მეცნიერების პოზიციიდან ცდილობენ.

✓ **უყვართ „ოქროს წესების“** გამოძიება და დაცვა;

✓ **იცავენ** სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ რეგულაციებს, იყალიბებენ დროის კულტურასა და თვითრეგულაციის უნარს;

✓ **ერგებიან ახალ**, უჩვეულო რეჟიმს და ცდილობენ რუტინის დაცვას;

✓ **ამჟღავნებენ** კანონმორჩილების მაღალ კულტურას;

✓ **კარგად უხამებენ** საგნობრივ კომპეტენციას ტექნოლოგიებზე წვდომას;

✓ **უყვართ** სტრატეგიებისა და აქტივობების ინიცირება;

✓ **დაასკვნიან**, რომ მოცემულობა არის ფიქრისა და განსჯის დრო.

ახალ ეპოქაზე დაფიქრებული მოსწავლეები თითქოს იმაზე მეტს სწვდებიან, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მოსალოდნელია. ახალ კონტექსტებში ახერხებენ კლასიკური სახეების დეკოდირებას, უნივერსალური იდეების წვდომას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის მიხედვით დაგეგმილ გაკვეთილზე ხაზი ესმება მწერლობის კონკრეტულ და საყოველთაო დანიშნულებას, მწერლის მთავარ სათქმელს და ეპოქასთან მიმართებას, ამასთანავე, ვითვალისწინებთ და სადღეისო ჟღერადობით აღვიქვამთ დროსა და სივრცეში საკმაოდ დაშორებული ტექსტების კონცეფციას და ვრწმუნდებით მათ პოლისემიურობაში. მოსწავლეები იხსენებენ ოდესღაც ჩემ მიერ მათთვის ნათქვამ ფრაზას: „კლასიკა ყველა დროის თანამედროვეობაა“. ამიტომ დღეს იმავე მნიშვნელობით, მაგრამ ახალი ძალითა და დამაჯერებლობით იკითხება ილიას **„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“** და ვაჟაფშაველას **„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“**, აკაკის **„ბაში-აჩუკი“** /აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყოველივე მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას“/, ნიკო ლორთქიფანიძის **„კერიასათვის“,** თვით ხალხური ლექსი **„მზე შინაც“**. „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებიც **/„ქვეყანა ჩავსხი...“, „მზემან არ დაგწვენ...“, „ბორბოტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა...“/,** წერეთლისეული **საუკეთესო საშუალის ძიება – „ერთმანეთის მინამსგავსი შიში სხვაა, სიფრთხილე – სხვა“, და რომ: „ძლევისათვის უშიშრობა არა კმარა, თუ სიფრთხილეც გონივრული დროზე მას არ მიეხმარა“...**

ლიტერატურა საუკეთესო პირობას ქმნის მოვლენათა ამოცნობისა და ახალ-ახალ კონტექსტში გააზრებისათვის. ბავშვს შეუძლია მხატვრული მწერლობის სქემები და მოდელები უნივერსალურად აღიქვას და, მათზე დაფუძნებით, განივითაროს ინტელექტუალური ინტუიცია, ჩამოიყალიბოს ღირებულებები, გამოიმუშაოს რესპექტაბელური დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი, დააფასოს ადამიანური რესურსი, განივითაროს მადლიერების კულტურა, **ისწავლოს სიცოცხლის გაფრთხილება**.

მოსწავლეებს, ზოგადად, უყვართ თანამშრომლობა, აქვთ კოლაბორაციისკენ მიდრეკილება, ახასიათებთ შემოთავაზებები, ერთხელ მოსმენილისა თუ წაკითხულის კულტივაცია და გამდიდრება. საკუთარი პრაქტიკიდან შემიძლია გავიხსენო არაერთი თანადგომა სასკოლო პროექტებისა თუ კვლევების განხორციელების დროს. აღსანიშნავია მათი თანამოაზრეობა ისეთ საგულისხმო საკითხში, როგორიცაა სკოლაში სამედიცინო განათლების შემოღება. ჯერ კიდევ სკოლის საჭიროების კვლევის დროს, ჩვენი ყურადღება შეჩერდა ფართო საზოგადოებაში დანერგილ რამდენიმე, ჯანმრთელობისათვის სახიფათო და ამდენად არასასურველ, ქცევაზე /შეეხებოდა საღეჭი რეზინის მოხმარებისა და უტილიზაციის, როლერის დაუხმარებლად წიგნის გადაფურცვლისა და მისთანა ჩვევებს/ ...მაშინ ამოცანად დავისახეთ სამიზნე ქცევის მოტივების დადგენა და ინტერვენცია. სწორედ მოსწავლეთა აღმოჩენა იყო, რომ სასკოლო პრაქტიკაში სპეციალური დისციპლინის შემოღება, სანიტარულ-ჰიგიენური განათლების დანერგვა მნიშვნელოვნად დაიცავს საზოგადოებას და უზრუნველყოფს ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი, **სანდო გარემოს** ჩამოყალიბებას. ამჯერად მოსწავლეები აღრმავებენ წამოწყებულ პროექტს და აზუსტებენ ჰიგიენური ნორმების დაცვის ნიუანსებს.

მოზარდები აცნობიერებენ ერთიან, მთლიან, სრულ ცხოვრებასთან მიმართებას და ცდილობენ მისი კანონზომიერებების ათვისებას. მოსწავლის მოტივაცია და მზარდი ინტერესი მასწავლებელს ოპტიმისტურად განაწყობს და, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, მნიშვნელოვნად ახალისებს. სულიერი სიმაღლის, მხნეობის შენარჩუნება კი გადამწყვეტია ექსტრემალურ ვითარებაში განხორციელებულ სასწავლო პირობებში.

დღევანდელი მოსწავლეები, როგორც არასდროს, მოტივირებული არიან სწავლისათვის, განწყობილი – სასარგებლო საქმეებისა და ინოვაციებისათვის . ასეთ ახალგაზრდებს სჭირდებათ ინტენსიური შეთავაზება სკოლის, მასწავლებლის მხრიდან, აკადემიური ხარისხის ამაღლების, შემოქმედებითი გააქტიურების, სოციალური უნარების განვითარების, ფსიქოლოგიური განმტკიცების, მიღწეული დონის შენარჩუნების, ზნეობრივი მხარდაჭერის მიზნით.

ისტორიული რეალიები გვარწმუნებენ, რომ ქვეყნისა და ქვეეყნიერების წინაშე პერიოდულად დგება სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომელთა დაძლევა მხოლოდ განვითარებულ და მომზადებულ საზოგადოებას შეუძლია. იგივე მოვლენები და გამოწვევები ცხადყოფენ, რომ წიგნისმიერი ცოდნის გარდა, ადამიანს სრულყოფილი პიროვნული განვითარება და ფსიქოლოგიური სიმყარე სჭირდება სინამდვილის ნიუანსების შესაცნობად , პირადი, პროფესიული თუ სამოქალაქო **პასუხისმგებლობის** აღსაქმელად, რაც ზედმიწევნითი სიზუსტით არის კიდეც განერილი კანონქვემდებარე – **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში.**

უკანასკნელ ხანს საგანმანათლებლო სივრცეში აქტიურად განიხილება სწავლისა და საგაკვეთილო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ მოზარდი იძენდეს **ფუნქციურ ცოდნას**, ხედავდეს სამყაროული მოვლენების ურთიერთკავშირს, ერთი დანახვით განსხვავებული ფენომენების ურთიერთგანპირობებულობას, პრინციპულ მიზეზშედეგობრიობას, ჰქონდეს ტრანსფერის უნარი.

საკითხის ამგვარად დასმის აქტუალობა,***თანამედროვე მოვლენათა დისკურსში**, კიდევ უფრო საცნაურია და ლეგიტიმურს ხდის იმ მასწავლებლის პოზიციას, რომელსაც საგანთაშორის კავშირისა და ინტეგრირებული სწავლების მუდმივი პრაქტიკა აქვს – თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ცდილობს დაეხმაროს მოსწავლეს შესასწავლი დისციპლინისა და განსხვავებული საგნების თვისობრივი ერთიანობის აღქმასა და შემეცნებაში, რითაც ააცილებს მას სწორხაზობრივ განვითარებას და მოამზადებს თავისუფალი ემპირიული გამოცდილების განზოგადებისათვის, წაახალისებს აღმოჩენებისა და ლოგიკური აზროვნებისაკენ.

სწორედ ამგვარი მიზანდასახულობით

**✓ ბავშვებს მოსაცდელად არ სცალიათ! ხვალ მათ უნდა აალორძინონ ქვეყანა!**

სკოლა და თანამედროვე ტექნოლოგიები

# ყველა სოფელი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ინტერნეტით – დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი პირობა

*დისტანციურ სწავლების მიმართ საზოგადოების ნაწილი, გასაგები მიზეზების გამო, სკეპტიკურადაა განწყობილი, მით უმეტეს, როცა საუბარი რეგიონის სკოლებს ეხება. საინტერესოა, როგორ მოემზადნენ რაიონის საჯარო სკოლები დისტანციური სწავლებისთვის, რამდენად შესაძლებელია ახალი მეთოდის გამოყენება მაღალმთიან რეგიონებში, კონკრეტულად, რა პრობლემების წინაშე დგანან საჯარო სკოლები და რა სირთულეებს აწყდებიან სწავლების პროცესში? რა სჭირდება რაიონის (სოფლის) სკოლას ყველაზე მეტად, დისტანციური სწავლება, შეძლებისდაგვარად, ხარისხიანად რომ წარიმართოს? საინტერესოა იმ მოსწავლეების ბედი, რომლებსაც არა თუ ინტერნეტი, კომპიუტერიც კი არ აქვთ, ასევე, თუ განიხილება დისტანციური სწავლების ალტერნატიული გზები, რათა არ მოხდეს რეგიონებში სასკოლო განათლების სრული პარალიზება – გვესაუბრებიან საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსები.*

## ხათუნა ხმალაძე

***ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი***

დღევანდელი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლებისთვის, დისტანციური სწავლება და პროექტი „ტელესკოლა“ სრულიად მისაღები რეალობაა.

ქალაქ ახალციხეში და ახალციხის მუნიციპალიტეტში 38 საჯარო და ერთი კერძო სკოლა ფუნქციონირებს. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლები, როგორც დანარჩენი სკოლები დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, დისტანციური სწავლება და სამინისტროს და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტი – „ტელესკოლა“ სრულიად მისაღები რეალობაა.

ქალაქ ახალციხის და ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია, მასწავლებლები და მოსწავლეები Teams-ის პროგრამით და ქართული აპლიკაციით – Feedc Edu სარგებლობენ (აღნიშნული ქართული პლატფორმა სრულყოფილად მუშაობს და არ სჭირდება მაღალი სიჩქარის ინტერნეტი). Feedc Edu-მ უფრო გაზარდა ახალციხის მუნიციპალიტეტში მომხმარებელი სკოლების რაოდენობა და თითქმის სრულად გაუმჯობესდა დისტანციური სწავლება თითოეულ სკოლაში.

სისტემატიური კომუნიკაცია გვაქვს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესის სტრუქტურირებულად და ნაყოფიერად წარმართვაში განსაკუთრებულად გვეხმარება პოზიტიური, დროული ინიციატივა – „ტელესკოლა“, რომლის მრავალფეროვანი ფორმატი გვაძლევს საშუალებას, დღის მნიშვნელოვანი ნაწილი საინტერესოდ, ხალისიანად და ეფექტურად წარიმართოს. აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების ფორმატი და პროექტი „ტელესკოლა“ ავსებს ერთმანეთს.

მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური მდგომარეობა, ელექტრონულ მოწყობილობებსა და ინტერნეტზე წვდომა და შესაბამისად, სამინისტროს რეკომენდაციების საფუძველზე, ალტერნატიული საკომუნიკაციო ფორმა შეირჩა.

აღნიშნული პროცესების წარმატებით წარმართვაში გვეხმარება გამოცდილება, რომელიც ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით გვაქვს. მოგახსენებთ, რომ სამინისტროს ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა, სწავლა-სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად, ყოველთვის იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი დანერგვის უზრუნველყოფა. ქალაქ ახალციხის და ახალციხის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლის მასწავლებელს აქვს გავლილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგები.

გვაქვს გამოცდილება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ციფრული რესურსების პორტალის გამოყენების (http://ict.tpdc.ge/), რომელიც, ვიდეოგაიდების საშუალებით, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც კომპიუტერული პროგრამების, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და მათი სასწავლო პროცესში ინტეგრირების მეთოდოლოგიით უზრუნველყოფს. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, 2016 წლიდან, აქვს დისტანციური სკოლა, სადაც ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლებიც არის ჩართული და ვასწავლით სხვადასხვა საგანს დისტანციურად.

„ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში ჩართულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ორი საჯარო სკოლა, სადაც, ტექნოლოგიების მიმართულებით, გამართულად წარმართავენ სწავლა-სწავლების პროცესს, იყენებენ ინოვაციურ მიდგომებსა და ტექნოლოგიებს და კოლეგებსაც უზიარებენ. ჩვენი სკოლების დიდი ნაწილი, 2012 წლიდან, წარმატებით იყო ჩართული G-PriEd-ის პროექტში, რომელმაც მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს ელექტრონულ რესურსზე წვდომის და ონლაინ რეჟიმში მუშაობის გამოცდილება შესძინა. აღნიშნული რესურსები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა 2017 წლიდან და დღესაც წარმატებულად იყენებს თითოეული სკოლა (http://kargiskola.ge/parental/parental.php).

დაგროვილმა გამოცდილებამ და ზემოაღნიშნულმა საშუალებებმა მასწავლებლებს და მოსწავლეებს შესძინა გამოცდილება, სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოეყენებინათ საგანმანათლებლო ინტერნეტსივრცე და მათ ელექტრონული რესურსების გამოყენებისა და ონლაინ რეჟიმში მუშაობის უნარებიგამოუმუშავა, ეს კი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა დღეს, თითოეულ სკოლაში, დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესშიც. მოზარდებს ვთავაზობთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს, ვღებულობთ შესაბამის უკუკავშირს, აღნიშნული პროცესები საინტერესოა, შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების განმავითარებელიც.

ბუნებრივია, დისტანციური სწავლების ფორმატი სრულად ვერ ჩაანაცვლებს სწავლა-სწავლების სასკოლო ფორმატს (დღეში 4-6-საათიან განრიგს), მოსწავლეებს შორის კომუნიკაციას, საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ინტერაქციას, თუმცა მზაობა და რეაგირება მყისიერად ხორციელდება და წარმატებით ვართმევთ თავს არსებულ გამოწვევას.

სკოლები დისტანციური სწავლებისთვის მოდიფიცირებულ ცხრილს იყენებენ. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მოტივაცია, ონლაინ სწავლების მიმართ, მაღალია, სკოლების ადმინისტრაციამ, დამრიგებლებმა და საგნის მასწავლებლებმა მოსწავლეს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს დეტალურად მიაწოდეს ინფორმაცია ელექტრონული პლატფორმების და „ტელესკოლის“ შესახებ. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათის, რომ მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლების მხარდაჭერის მიზნით, ორგანიზება გაუწიონ მშობელთა ჩართულობასა და კონსულტირებას აღნიშნულ პერიოდში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხელმისაწვდომობის ჭრილში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მართვის საინფორმაციო სისტემა ძალიან აქტიურად მუშაობს. ინტენსიურად მიმდინარეობს მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის შესაბამისი კონსულტაციები, ტექნიკური პრობლემის არსებობის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია მიმართოს სკოლის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელს ან/და სკოლის ინფორმაციულ მენეჯერს, IT სპეციალისტს, ტექნოლოგიების ექსპერტებს და EMIS-ის წარმომადგენლებს; თითოეულმა მასწავლებელმა, მშობელმა მიიღო პროგრამის გამოყენების გზამკვლევები, ვიდეოინსტრუქციები, სადაც დეტალურადაა ახსნილი პროგრამის შესაძლებლობები. შექმნილია ჯგუფი, რომელიც ონლაინ, 24-საათიან რეჟიმში, პასუხობს ნებისმიერ კითხვას. სამინისტროს ცხელი ხაზი 24 საათი მუშაობს.

ქალაქ ახალციხის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორები, სკოლის ადმინისტრაცია, ყოველდღიურ რეჟიმში, ადევნებენ თვალყურს თითოეული მასწავლებლის, მოსწავლის აქტივობას საკლასო ჯგუფებში, ძირითადად, ყველა მასწავლებელი ართმევს თავს. შეიძლება ერთეული შემთხვევა იყოს, როდესაც რომელიმე მათგანის გაკვეთილი თუ დავალება არ იყოს საკმარისად დატვირთული და მრავალფეროვანი, მაგრამ სკოლებში არსებული მაღალი თანამშრომლობითი კულტურა იძლევა იმედს და საშუალებას, რომ წარმატებით გავართმევთ თავს არსებულ გამოწვევებს.

იყო გარკვეული ხარვეზები, მოსწავლე, ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ ჩაერთო ელექტრონულ ფორმატში, საგნის მასწავლებელმა დაუყოვნებლივ უზრუნველყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დავალების მიწოდება და შესაბამისი კონსულტირება სატელეფონო კომუნიკაციით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, მშობლებიც აქტიურად არიან ჩართული სწავლების პროცესში. სამინისტრო სისტემატურად აწვდის შესაბამის მეთოდოლოგიურ გზამკვლევებს, ვიდეო და ტექსტურ რეკომენდაციებს, მშობელთა ჩართულობა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და არის სწავლა-სწავლების პროცესში. თუმცა, მიმდინარე მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უბრალოდ მნიშვნელოვანი კი არა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა დისტანციური სწავლების პროცესში. მშობლების დიდი ნაწილი წარმატებითაა ჩართული, ბევრი სწავლობს შვილისგან ან პირიქით, მშობლები და შვილები ერთობლივად ერთვებიან ონლაინ გაკვეთილებში.

დისტანციური სწავლების გარდა, სხვა ალტერნატივა არ განიხილება, რადგან ჩვენ შემთხვევაში ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სადაც საჯარო სკოლებია განთავსებული, ინტერნეტის დაფარვის ზონა 100%-ს შეადგენს.

დღეს, საგანგებო ვითარებაში, საგანგებო ზომების მიღებაა გახდა საჭირო. ვერც ერთ ქვეყანაში, მათ შორის, ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, დისტანციური სწავლება ჩვეულებრივ სასწავლო პროცესს ვერ ჩაანაცვლებს, რადგან სწავლება ხომ სხვა რამეცაა – ადამიანური ურთიერთობა, ემოცია...

საგანგებო მდგომარეობის ვადაში, ვხელმძღვანელობთ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილებით „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ და თითოეული სკოლა ვალდებულია, სასწავლო პროცესიშაღნიშნული წესის შესაბამისადგანახორციელოს. ეს არ არის მარტივი პროცესი, მაგრამ წარმატებით ვართმევთ თავს. მინდა, გავამხნევო ის ადამიანები, ვინც დღეს ცდილობენ მაქსიმუმი გააკეთონ და წარმატება ვუსურვო მათ.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, განათლების სამინისტროს მიერ გაცემული დავალებებისა და რეკომენდაციების გავრცელებას და შესრულებას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს ქალაქ ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი. თვალყურს ვადევნებთ ონლაინ სწავლებაში ჩართული პირების დინამიკას და ეს ციფრი ყოველდღიურად მზარდია. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ყველა მოსწავლემდე მივიდეს, გარკვეული ფორმით, საგაკვეთილო პროცესი და ეს უწყვეტობა იყოს შენარჩუნებული.

სამინისტრო, თავის მხრივ, სისტემატიურად ახორციელებს მონიტორინგს აღნიშნულ პროცესებზე და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოსწავლესა და მასწავლებელს, მასწავლებელსა და მშობელს შორის ეფექტიანი პედაგოგიური ურთიერთობა შენარჩუნდეს და სწავლა-სწავლების პროცესი წარმატებით განხორციელდეს.

## კახაბერ რეხვიაშვილი

***ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი***

ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლები გადასული არიან დისტანციური სწავლების რეჟიმზე. აღნიშნული სწავლების რეჟიმი ხორციელდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მაგალითად: სოციალური ქსელით, ვიდეოზარებით, სატელეფონო კომუნიკაციით, ელექტრონული ფოსტით.

დისტანციური სწავლების ხარისხიანად წარმართვისთვის საჭიროა, მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად იყოს დაფარული ინტერნეტით და მასწავლებლები და მოსწავლეები – შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილნი. სამწუხაროდ, არის სოფლები, სადაც ინტერნეტი საერთოდ არ იჭერს, ხოლო ზოგიერთ მოსწავლეს არ აქვს შესაბამისი ტექნიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სკოლების მასწავლებლების

## სკოლა და თანამედროვე ტექნოლოგიები

უმრავლესობას ონლაინ სწავლების გამოცდილება არ ჰქონია, არიან მასწავლებლები, რომელთაც პირველად უწევთ დისტანციურ სწავლებასთან შეხება, მათ აქტიურად ეხმარებიან სკოლის IT სპეციალისტები, სკოლის საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის მასწავლებლები და ის მასწავლებლები, რომლებთაც ამ კუთხით მეტი გამოცდილება აქვთ.

განათლების სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება ტელეპროექტი „ტელესკოლა“, რომელიც, ამ ეტაპისთვის, ხელმისაწვდომია თითქმის ყველა მოსწავლისთვის და კარგ ალტერნატივად განიხილება. თუმცა, არის მოსწავლეთა მცირე ნაწილი, რომელთათვისაც არ არის ხელმისაწვდომი ტელევიზია (წვდომა აღნიშნულ არხზე) და თანამედროვე კომუნიკაციები. მათთვის ხელსაყრელია ტესტების მატერიალური სახით მიწოდება ისე, რომ დაცული იყოს მთავრობის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია და მოთხოვნა.

აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა. ყურადღება უნდა მივაქციოთ მშობლის მიერ დასმულ კითხვებს, აუცილებლად დავამყაროთ მასთან უკუკავშირი და ნათლად ავუხსნათ, რა ფორმით ვმუშაობთ მის შვილთან, კარგად უნდა ავუხსნათ, რომ ბავშვმა ამ ფორმით უნდა მიიღოს ის აუცილებელი ცოდნა, რომელიც საჭიროა, მოდიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ამა თუ იმ კლასის პროგრამის დასაძლევად.

ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი პროცენტი სარგებლობს ინტერნეტით, არ მოგვეპოვება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობს ინტერნეტით, ხოლო ქალაქი ამბროლაური სრულად არის დაფარული ინტერნეტით.

### ეთერ დავითაშვილი

*დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი*

ვფიქრობთ, რომ ახალი მეთოდის გამოყენება შესაძლებელია. რთულია, მაგრამ ყველას ესმის რა ფორსმაჟორული მდგომარეობითაა გამოწვეული არსებული რეალობა და ყველა მაქსიმალურად ცდილობს, სწავლების ამ მეთოდს აუწყოს ფეხი, მით უმეტეს, რომ მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს მანამდეც ჰქონდა გარკვეული გამოცდილება, ვინაიდან სხვადასხვა სახის ტრენინგები ჰქონდათ გავლილი ვებინსტრუმენტების გამოყენებაზე სწავლებაში. ორი სკოლა (გამარჯვების და ზემო ქედის №2) ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“, ამდენად ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

სირთულე მოსწავლეების აქტივობაა. ინტერნეტთან წვდომა ყველას არ აქვს, არც კომპიუტერებიც აქვთ, უფრო ხშირად ტელეფონით სარგებლობენ და კავშირის ხარისხი დაბალია. ჩვენს რაიონში, დაახლოებით, მოსახლეობის 50-60% სარგებლობს ინტერნეტით. ეს ძალიან პრობლემური საკითხია. მოსწავლეებს, რომლებსაც არა თუ ინტერნეტი, კომპიუტერიც კი არ აქვთ, მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციით აწოდებენ მარტივ დავალებებს, ასევე მათთვის ძალიან სასარგებლოა „ტელესკოლის“ გაკვეთილები.

რა თქმა უნდა, გვყავს მასწავლებლები, რომლებსაც პირველად მოუწიათ დისტანციურ სწავლებასთან შეხება, თუმცა ვფიქრობ, გაართმევენ თავს, უფრო კომპეტენტური მასწავლებლების დახმარებით. ძალიან მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, სადაც მათი დახმარების გარეშე შეუძლებელია სწავლების ამ ფორმის განხორციელება. მშობელთა ჩართულობა ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ასევე იზრდება მოსწავლეთა მზაობაც, მაქსიმალურად ჩაერთონ დისტანციურ სწავლებაში და ონლაინ რეჟიმში გაიარონ კონკრეტული პროგრამები.

სასკოლო განათლების სრული პარალიზება, რა თქმა უნდა, არ მოხდება, რადგან ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, დისტანციური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს წარმატებით იყენებენ.

### ზურაბ აზარიაშვილი

**თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი**

თეთრიწყაროს სამოქმედო ტერიტორიაზე 28 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, მათ შორის – 2 არაქართული; 4 საჯარო სკოლასთან მიერთებული გვაქვს სკოლები და არაქართული სექტორი. საჯარო სკოლებში ინტერნეტის დაფარვის ზონა 100%-ს შეადგენს.

სოფელ კოდის საჯარო სკოლა ჩართული იყო G-PriEd-ის პროექტში, რომელმაც მასწვლებლებს საშუალება მისცა, წვდომა ჰქონოდათ მათთვის საინტერესო ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებზე, რომელთაც აქტიურად იყენებდნენ ბავშვებთან ონლაინ რეჟიმში.

დღეის მდგომარეობით, მასწავლებლები, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, გაკვეთილებს ატარებენ **teams-ის, zoom-ის, edu.feedc.com-ის** პროგრამებში, ასევე, სოციალური ქსელების **chat**-ით. ეტაპობრივად მიმიდინარეობს ონლაინ კონსულტაციები სსიპ მასწავლებელთა სახლის მოხალისე კონსულტანტთან. ვისაც კომპიუტერი არ აქვს, ახალი პროექტით – „ტელესკოლით“ ისმენს გაკვეთილებს, ხოლო ვისაც ელექტრონულ რესურსებთან არ აქვს წვდომა, მათ ტელეფონის საშუალებით ან მატერიალურად აწოდებენ საკითხებს, დავალებების სახით.

„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში ჩართულია სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა, რომლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები კარგად ფლობენ ისტ ტექნოლოგიებს, პროგრამას: ვსწავლობ თამაშით, ყველა მოსწავლე მუშაობს თავისუფლად, ადვილად იყენებენ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში და შექმნილი აქვთ არაერთი სავარჯიშო, ნაწილობრივ ფლობენ scratch-ში მუშაობის უნარ-ჩვევებს, იყენებენ სასწავლო პროცესში და რამდენიმე სავარჯიშოც აქვთ შექმნილი. მასწავლებლებს, რომელთაც პირველად უწევთ დისტანციურ სწავლებასთან შეხება, სკოლის IT სპეციალისტები და კოლეგები ეხმარებიან.

მოამზადა **მაკა ყიფიანმა**

# სპორტის გაკვეთილები დისტანციურად

***ახალმა კორონავირუსმა მთელ მსოფლიოს ონლაინ მეთოდებით ცხოვრებისკენ უბიძგა. ბუნებრივია, საქართველომაც გადადგა ამ მიმართულებით ნაბიჯი და უკვე ორ კვირაზე მეტია, ქვეყანაში სასწავლო პროცესი ონლაინ ტარდება. ერთია დისტანციურად ასწავლო ჰუმანიტარულ, ტექნიკურ ან თუნდაც საბუნებისმეტყველო საგნებში და მეორე – სპორტში. საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს სპორტის გაკვეთილები ონლაინ, რამდენადაა ეს შესაძლებელი და შეცვლის თუ არა ის ფიზიკურ აქტივობებს, რაც ამ გაკვეთილების ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა. ამ თემაზე სასაუბროდ სპორტის ორ მასწავლებელს დავუკავშირდით, რომლებსაც ერთი და იმავე კითხვით მივმართეთ:***

***⇨ რა რესურსები არსებობს სპორტის ონლაინ გაკვეთილებისთვის და როგორ ატარებთ მათ?***

### მარი ჯინჭარაძე

*თბილისის №23 საჯარო სკოლის სპორტის უფროსი მასწავლებელი:*

სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი ბავშვების მხრიდან ასეთ ინტერესს. ახლა აქცენტი, ძირითადად, გადატანილია თეორიულ მომზადებაზე – ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, სპორტის სახეობები და სხვ. ონლაინ გაკვეთილზე მთელი კლასია შემოსული, დიდი ინტერესით მისმენენ და ისეთი ყურადღებით ასრულებენ დავალებებს... მე პირადად შევუდგინე ვიქტორინები, თავსატეხები, სპორტული კროსვორდები, რამაცა დიდი ინტერესი გამოიწვია. უფროსკლასელები იხვეწებიან რამე განსაკუთრებულს. მაგალითად, დღეს ფრენბურთი გვქონდა გაკვეთილად – მისი წარმოშობა, ისტორია და დიდი ინტერესით მისმენდნენ, დიდი კმაყოფილება გამოხატეს.

პარალელურად, ვარჯიშების ვიდეო ბმულებს ვუდებთ, რის მიხედვითაც ისინი ვარჯიშობენ, იწერენ მონაცემებს ვარჯიშებს შორის შუალედებში, რასაც ერთმანეთს ვადარებთ... ერთი სიტყვით, ამ ტიპის გაკვეთილებისთვისაც საკმაოდ ბევრი საშუალებაა. მაგალითად, თავსატეხები რომ ვახსენე, გასაგებია, რომ ბავშვი კომპიუტერს არ უნდა მივაჯაჭვოთ, მაგრამ იქ ისეთი თეორიული მასალაა, რაც საჭიროა: სპორტის სხვადასხვა სახეობების თამაშის წესები, კითხვა-პასუხი, ამოცანები, რომელიც მხედველობით მახსოვრობას ავითარებს, სპორტული ინვენტარი, ოლიმპიადების თარიღები და სხვა, რაც, მგონია, რომ კარგია.

ონლაინ გაკვეთილებზე ფიზიკურადაც იტვირთებიან. ჩემს სკოლაში მე უფროს კლასებთან ვმუშაობ, დაწყებით საფეხურებთან კი ჩემი კოლეგაა. ისინი 10-წუთიანი ზოგადი გამაჯანსაღებელი ვარჯიშით იწყებენ გაკვეთილს – ბავშვები იმეორებენ მასწავლებლის მოძრაობებს, მერე კი, გადადიან თეორიულ მასალაზე. თემები უფრო მათი ასაკისთვის შესაფერისია.

უფროს კლასებში მათ ასაკზე გათვლილ ბმულებს ვაწვდით და იმის მიხედვით ვარჯიშობენ. ასევე გვაქვს ამ ვარჯიშების ამსახველი ნახატები, რის მიხედვითაც უნდა ივარჯიშონ. ეს ნახატებიც და ბმულებიც სამინისტრომ მოგვაწოდა – გია ბეგიაშვილმა და ქეთი ქობალიამ გაგვიწიეს რეკომენდაცია. თუმცა, მათ მოგვცეს უფლება, შევიტანოთ შესწორებები პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, რასაც ვაკეთებთ კიდეც და გარკვეული ცვლილებები ჩვენც შეგვაქვს. უკვე ორი კვირაა, ამ ტიპის გაკვეთილებს ვატარებთ და ყველა კმაყოფილია.



### ზურაბ ჯუშოშვილი

*ქარელის №1 საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი*

რეკომენდაციები ჩვენმა სამინისტრომაც გამოგვიგზავნა, ბატონმა გია ბეგიაშვილმა. მასში ფიზიკური აქტივობები სამ ნახატადაა დაყოფილი; მაგალითად – ვარჯიშები უკლებლივ ყველა კლასზეა გათვლილი, მე-12 კლასის ჩათვლით. მითითებულია, ვთქვათ, დაწყებით კლასებში დღეში რამდენი აწევა უნდა გააკეთოს ხელებზე დაყრდნობით, რამდენი – ჩაცუცქვა და ა.შ. ამ ყველაფერს კი, თან ახლავს კვირის ცხრილი. ეს მონაცემები ბავშვებს უკვე ჩავუგდე ინტერნეტში, ონლაინ რეჟიმში, კვირის ბოლოს მათ უნდა შეავსონ ცხრილი, მოცემულ კვირაში დღეში რამდენჯერ შეასრულეს მიცემული დავალება. მომავალ კვირაში ახალ დავალებას გამოგვიგზავნიან.

ბავშვებს რეკომენდაციებსაც ვაძლევთ, რა როგორ გააკეთონ. თან ისინი მასწავლებლებს კი გვხედავენ და გვესაუბრებიან კიდეც წერილობით, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ მათ, რას როგორ აკეთებენ. თავიდან ბავშვებს ვავალებ გამამხნევებელ ვარჯიშებს, რადგან სკოლაშიც ასე ვიწყებდით სპორტის გაკვეთილს – გამამხნევებელი ვარჯიში, რასაც მოსდევდა ძირითადი ნაწილი. სამინისტროს რეკომენდაციაშიც იყო მითითებული, ონლაინ გაკვეთილი დაგვეწყო გამამხნევებელი ვარჯიშით, რომ კუნთი არ გაიჭიმოს.

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, მეც ვცდილობ რაღაცებს. მაგალითად, წოლით რეჟიმში ჰანტელებით მუშაობა, თუმცა იმასაც ვფიქრობ, იქნებ, ვინმეს ჰანტელებიც არ ჰქონდეს. მისი შეცვლა მარტივად შეიძლება: ჩვეულებრივი პოლიეთილენის ბოთლი გავავსოთ წყლით, შეიძლება, ნახევარ-ლიტრიანებით დაიწყონ და მერე გადავიდნენ ლიტრიანებზე. მერე შეიძლება, წყალი შეცვალონ ქვიშით, რათა უფრო დაამძიმონ. ამასაც ინტერნეტში ვეცნობი, წოლით რეჟიმში როგორ ხდება ეს ვარჯიშები, რამე გაუთვალისწინებელი შემთხვევა და ტრავმა რომ არ გამოიწვიოს. თუმცა, ამის საშიშროება ნაკლებად მგონია, რადგან იოლი ვარჯიშია, არაა რთული. თან, შეუძლიათ, ვარჯიშისას, ტელევიზორი ან მუსიკა ჩართონ, რაც ამ პროცესს უფრო გაახალისებს.

აი, ასეთ პატარ-პატარა ვარჯიშებზე ვიდეობს ვიღებ და ონლაინ ჩათში ვუგზავნი მოსწავლეებს, რათა ამის მიხედვით ივარჯიშონ. კიდევ ვფიქრობ, უფრო მრავალფეროვანი ვარჯიშები შევასრულო.

ჩემი გამოცდილებით რაც შემიძლია, ვაკეთებ, მაგრამ დახმარება დაგვჭირდება. ამას წინათ, მუყაოსგან კალათბურთის ფარები ავაწყვე – მუყაოზე პოლიეთილენის ერთჯერადი ჭიქები დავამაგრე და კალათბურთის ფარი გამოვიდა, მერე კი პინგ-პონგის ბურთით ჩემს შვილს კალათბურთი ვეთამაშე – დაბლა დაგდებით რამდენს ჩავაგდებდით. სახალისოც გამოვიდა და ბავშვებსაც ავუტვირთე, გააკეთეთ-მეთქი. თუმცა, ეს პროცესი დიდხანს თუ გაგრძელდა, მეტი დახმარება, მეტი რეკომენდაციები იქნება საჭირო სამინისტროდანაც, სპორტის სასწავლო უნივერსიტეტიდანაც – ხომ გვყავს გამოცდილი პედაგოგები! ამას დავალების სახე უნდა ჰქონდეს – მე კი ვაკეთებ ამას, მაგრამ გააკეთებს ყველა? თუმცა, სკოლის დირექტორს თუ მოსთხოვენ სამინისტროდან მიცემული დავალებების შესრულებას, მაშინ გააკეთებენ. ამ კუთხით, საინტერესო იყო ბეგიაშვილის მიერ გადმოგზავნილი ზემოაღნიშნული რეკომენდაციები.

სხვათა შორის, მათში გარკვეული ცვლილებები ჩემით შევიტანე – ინტერნეტში მოვიძიე და ის ნახატები შევცვალე. მე გავაკეთე „შპაკატი“, ლახტი და „მერცხალა“ – ცალ ფეხზე ხელებაწეული დგომი. მოეწონათ კიდეც და ასეთი მრავალფეროვნებები შეიძლება, გაკეთდეს.

**ირაკლი თავაძე**

პროფესია პედაგოგი

# მათი მცირედი წარმატებაც კი მაბედნიერებს – ირინე ფიროსმანაშვილი

*მარტის თვის დასაწყისში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2019 წლის საუკეთესო მასწავლებლები დააჯილდოვა, მათ შორის იყო ჩვენი რესპონდენტი, დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებელი ირინე ფიროსმანაშვილი, რომელიც ცენტრმა წლის საუკეთესო სპეციალურ მასწავლებლად აღიარა. „წლის საუკეთესო მასწავლებელს“ ამ სფეროში მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება აქვს. ამბობს, რომ მისი პროფესიული ზრდა პირდაპირ უკავშირდება მისი მოსწავლეების „ზრდას“, რადგან ჰყავს მოსწავლე, რომელსაც პირველივე კლასიდან მოჰყვება და მისი ყოველი წარმატებული ნაბიჯი პირდაპირ კავშირშია ირინე მასწავლებლის დაუზოგავ შრომასა და პროფესიონალიზმთან. მისი ერთ-ერთი მოსწავლე – ლანა დაუნის სინდრომის მქონე გოგონაა, რომელსაც ირინე მასწავლებელმა მოთხრობაც კი მიუძღვნა.*

*დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე მსოფლიოში სხვადასხვა ღონისძიებითა და აქტივობებით აღინიშნება. ფერადი წინდები – ამ დღის სიმბოლო და უცვეთი ლოზუნგი: „მეგობრები არ ვითვლით ქრომოსომებს“, ყოველ 21 მარტს გვახსენებს, რომ ამ ადამიანებს, უბრალოდ, ჩვენგან განსხვავებით, ერთით მეტი ქრომოსომა აქვთ. წელს, მსოფლიოში, ახალი კორონავირუსით შექმნილი ვითარების გამო, ბუნებრივია, მასშტაბური ღონისძიებები გადაიდო, თუმცა, დისტანციურ აქტივობებს, ინფორმაციის ამაღლების მიზნით, მასწავლებლები მაინც ახორციელებენ. ირინე მასწავლებელმაც მოსწავლეებს ასეთი აქტივობა შესთავაზა: მათ, სურვილის მიხედვით, გადაეღოთ ფოტოები ახლობლებთან, ოჯახის წევრებთან, და-ძმებთან და გადმოეგზავნათ მასწავლებელთან. შეგროვებული ფოტომასალით კი, მოსწავლეების ჩართულობით, მოამზადეს ფოტო და ვიდეოკოლაჟები, რომელიც დაუნის სინდრომის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათივე სკოლის ფეისბუქგვერდზე განთავსდება.*

*გთავაზობთ წლის საუკეთესო სპეციალური მასწავლებლის, ირინე ფიროსმანაშვილის ინტერვიუს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს მისთვის ამ პროფესიის მსახურება და მისივე მოთხრობას, რომელიც დაუნის სინდრომის მოქნე მოსწავლეს მიუძღვნა.*

**✓ მოგვიყევით რა ემოცია გქონდათ, როცა წლის საუკეთესო სპეციალურ მასწავლებლად დაგასახელეს? ელოდით?**

➪ საუკეთესო სპეციალური მასწავლებლის დაჯილდოების ცერემონიაზე ფინალისტები ვიყავით მიწვეული. შედეგი წინასწარ არ იყო ცნობილი. ძალიან სასიამოვნო და, ამავე დროს, ამაღელვებელი იყო დაჯილდოების პროცესში ჩემი გვარის გამოცხადება. სასიხარულოა მოკრძალებული შრომის ასეთი მაღალი შეფასება.

**✓ როგორ ფიქრობთ, რატომ გამოგარჩიათ ჟიურიმ?**

➪ ეს, ალბათ, შემფასებელმა კომისიამ უკეთ იცის. ჩემი პროფესიული საქმიანობა კომისიამ დეტალურად შეისწავლა და მაღალი შეფასება მისცა. მეც არ დავიშურე ძალა და ენერგია, რომ ეს ყველაფერი სრულყოფილად წარმომეჩინა. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლიერება გამოვხატო შემფასებელი კომისიის წევრების მიმართ, რომელთა პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება ნამდვილად მისაბაძია.

**✓ რამ განაპირობა თქვენი პირველი ნაბიჯი ინკლუზიური განათლებისკენ?**

➪ იყო2003 წელს დავამთავრე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი სპეციალობით „კორექციული პედაგოგიკა“. მე-5 კურსზე სწავლისას მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციის „პირველი ნაბიჯი საქართველო“ კონკურსში, რომელიც წარმატებით დავძლიე და შემდეგ, ათ წელზე მეტი, ვიმუშავე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მეთოდისტ-მასწავლებლად, ამასთან უწყვეტი სტაჟით, პარალელურად, ვმუშაობდი სხვა პროექტებშიც. ამ პერიოდმა ჩემი შრომითი საქმიანობა საბოლოოდ დააკავშირა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების აღზრდის პროცესთან და ეს ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. 6 წლის წინ გადავწყვიტე ჩემი ძალები ახლა უკვე ზოგად საგანმანათლებლო სკოლაში მომესინჯა, ეს იყო პირველი ნაბიჯი ინკლუზიური განათლებისკენ. რა თქმა უნდა, თავიდან იყო სირთულეები, მაგრამ სკოლის დირექციის ხელშეწყობით, დაუღალავი შრომით, სიახლეების ძებნით და მონდომებით შევძელით წარმატების მიღწევა. როგორც დავრწმუნდი, ეს სწორი ნაბიჯი იყო.

**✓ როგორია სპეციალური მასწავლებლის ერთი დღე? ძირითადად, რა სირთულეების გადალახვა გიწევთ?**

➪ ყოველი დღე საინტერესო და განსხვავებულია, მაგრამ მათ საერთოც ბევრი აქვთ. ჩემი სამუშაო დღე იწყება სსსმ მოსწავლეების მოკითხვით, ვიცი თითოეულის ისტორია, ოჯახური მდგომარეობა. სისტემატიური კონტაქტი მაქვს მშობლებთან, სკოლაში მყოფ და-ძმებთან. ხელს ვუწყობ სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდას. აქტიურად ვმონაწილეობ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელებაში. საგნის მასწავლებლებთან ერთად ვმუშაობ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ადაპტირებაში. ვცდილობ, დრო თანაბრად გადავანაწილო ყველა მოსწავლეზე. მუშაობის პროცესში მუდმივად ვიყენებ დამოუკიდებელი ცხოვრების პრინციპებს. ჩემი მიზანიც თითოეული სსსმ მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, ასევე იმ უნარ-ჩვევების დაუფლებაა, რაც გამოადგებათ სკოლის შემდგომი განათლების მიღებაში და ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სწრაფ და მაქსიმალურ ინტეგრირებას.

სირთულეები წლების წინ უფრო იყო, ამ ეტაპზე გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ არის გამოწვევებიც, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სკოლების მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და ჯერ კიდევ არასათანადოდ ადაპტირებული გარემო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დღითი დღე, თანმიმდევრულად, მივდივართ პროგრესისკენ და ეს მახარებს.

**✓ მოგვიყევით თქვენს მოსწავლეებზე, მათთან მუშაობის მეთოდებსა და ურთიერთობებზე...**

➪ ახანგრძლივი ედაგოგიური საქმიანობის პროცესში მომინია მუშაობა სხვადასხვა დარღვევის, სირთულის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ მათგანთან. მუშაობის პროცესში ვითვალისწინებ არა მხოლოდ ბავშვის შესაძლებლობებს, საჭიროებებს და ინტერესებს, არამედ მშობლის პრიორიტეტებს. სწავლების პროცესში უპირატესობას ვანიჭებ მულტიმოდალურ მეთოდს, ასევე, ეფექტურია კეთებით სწავლებაც.

მოსწავლეებთან ურთიერთობები მაქვს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოშიც. გავიხსენებ წინა სადღესასწაულო სამზადისებს, საკლასო, სასკოლო და სარაიონო ღონისძიებების მზადების პროცესებს, ექსკურსიებს, სადაც ყველა ერთად ჩართულია დიდი ხალისით, მონდომებით და ინტერესით.

სიამოვნებას მანიჭებს ჩემს მოსწავლეებთან გატარებული დრო, თითოეული გაკვეთილი და მათი მცირედი წარმატებაც კი მაბედნიერებს.

**✓ ერთგვარი რჩევა კოლეგებს – როგორ მოიქცნენ, თუ კლასში სსსმ ან შშმ მოსწავლე ჰყავთ?**

➪ პირველ რიგში, აუცილებელია ბავშვების სიყვარული, საქმისადმი ერთგულება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და შეუნელებელი ყურადღება. ასევე, მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნა, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება თანატოლებთან. გასათვალისწინებელია სირთულეების დროს წინააღმდეგობების გადალახვისადმი მზადყოფნაც.

კოლეგებს გავუზიარებ საკუთარ გამოცდილებას და ვურჩევ აქტიურად გამოიყენონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული ლიტერატურა; მუშაობის პროცესში ძალიან მეხმარება ინტერნეტში მოძიებული მასალები, სასურველია სიახლეების ერთმანეთისთვის გაზიარებაც. წარმატების მისაღწევად უაღრესად საჭიროა სისტემატური მუშაობა საკუთარ თავზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

**✓ ქვეყანაში სპეციალური მასწავლებლების დეფიციტია, რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

➪ ეს ნამდვილად ასეა და ამ მდგომარეობას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. პირველთაგან გამოვყოფდი, ზოგ შემთხვევაში, მასწავლებლების სუბიექტურ დამოკიდებულებას ინკლუზიური განათლებისადმი, მუშობის სირთულისადმი. რაც შეეხება ობიექტურ მიზეზებს, მათი აღმოფხვრის მიზნით ვისურვებდი სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცებას, რაც აუცილებლად შეუწყობს ხელს ამ პროფესიის პოპულარიზაციას.

**✓ მოტივაციის სახით რას ეტყვით კოლეგებს – ბევრი სირთულის მიუხედავად ამ პროფესიისთვის მსახურება რას ნიშნავს თქვენთვის?**

➪ ამ პროფესიის მსახურება ჩემთვის ნიშნავს ბევრი პირადულის გვერდზე გადადებას, თავდაუზოგავ შრომას და, რაც მთავარია, ბავშვების სიყვარულს. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მოსწავლე გრძნობს შენს დამოკიდებულებას და სითბოს. ასევე აღსანიშნავია მშობლის მადლიერი თვალები, როდესაც ის ხედავს მისი შვილის აღზრდა-განვითარებაში პროგრესს. რა თქმა უნდა, ჩემთვის და ყველა მასწავლებლისთვის უდიდესი სტიმულია, როცა ვხედავთ ჩვენი შრომის თვალსაჩინო შედეგებს. მინდა წარმატება ვუსურვო კოლეგებს შრომით საქმიანობაში ქვეყნისა და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲐ

# COVID-19 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ



დღეს კაცობრიობა ათასწლეულის გამოწვევის წინაშე დგას. გამოწვევები ყოველთვის ახალი დღის წესრიგისა და გადაჭრის მექანიზმების შემუშავებას მოითხოვს. ამ დროს სახელმწიფოები და საზოგადოება გარკვეულ პროგრამებს აყალიბებენ. დიდი და ძლიერი (ეკონომიურად, პოლიტიკურად და მილიტარულად) სახელმწიფოები თავის თავზე იღებენ არა მხოლოდ პრობლემების გადაჭრის გეგმების შემუშავების, არამედ ქმედითი ღონისძიებების განხორციელების მეთაურობას. ამ დროს, პატარა სახელმწიფოები, რომელთაც ეს ძალა და მნიშვნელობა არ გააჩნიათ, ძლიერთა გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილონ და ძლიერთაგან იმას გაჰყვნენ, რომელთა „პარტნიორებად“ თავის თავს გადაწყვეტენ. ამ დროს ჰგონიათ, რომ პრობლემები, მათი თანხმობით/მონაწილეობით გადაწყდება. ასეთ შემთხვევაში, უმეტესად, ძლიერთა შორის გადანაწილდება პოლიტიკური თუ ძირითადად ეკონომიკური ინტერესები. ასეა თუ ისე, უმეტესად, რომელიმე მხარის უპირატესობით გადაიჭრება ხოლმე ეს კრიზისები. ამჟამად, საქმე სხვაგვარადაა. სრულიად თანამედროვე სამყაროს და არა რომელიმე რეჟიმს – იქნება ეს დემოკრატიული თუ ტოტალიტარული/ავტორიტარული – საერთო პრობლემის გადაჭრა უწევს. უცნაურობაც ისაა, რომ არც ერთად არის მთელი სამყარო და არც ცალ-ცალკეა ეს ორი ძირითადი პოლიტიკურ-სოციალური პოლუსი. ყველა თითქოს თავის თავში ჩაიკეტა და თავად ცდილობენ „თავიანთი“ პრობლემის გადაწყვეტას. სამყაროში თითქოს მძლავრად მიმდინარეობს ერთაშორისი გაუცხოება. მხოლოდ პატარა, მსოფლიოსთვის „ნაკლებმნიშვნელოვან“ სახელმწიფოებს კიდევ შერჩათ თავიანთი პოლიტიკური პარტნიორების/რეგენტების იმედი, მაგრამ ეს იმედიც მიზერულია. პრობლემის გადაწყვეტას გაგება და ხედვა ესაჭიროება, – პერსპექტივების განსაზღვრა. უცნაურობა იმით გრძელდება, რომ დღესდღეობით არც პერსპექტივების განსაზღვრა და არც რეალური გეგმაა მოცემული. საქმე კი ადამიანთა სიცოცხლეს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხე სამყაროულია, ამ კრიზისის თავისებურება იმით გამოიხატება, რომ, როგორც უკვე ვთქვით, სამყარო ჯერჯერობით მაინც დაქსაქსულია. ამ საშიშროებას/კრიზისს აქვს სახელი – **COVID-19**.

პარადოქსების ჯაჭვი გრძელდება: დღეს, ჩვენ, ანუ სამყარომ, კაცობრიობამ, არ ვიცით, **როდის** დასრულდება ეს კრიზისი. არც ის ვიცით, **როგორ** დასრულდება ის; გრძელვადიან პერსპექტივაში, არც ის ვიცით, **რა** და **როგორი** პოლიტიკური და სამრეწველო-ეკონომიკური შედეგებით დამთავრდება. **რა** და **როგორი** აქ მნიშვნელოვანია, რადგან, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს, აუცილებელია განისაზღვროს **როგორი** იქნება, რათა ამ **როგორის** შესაბამისი ქმედებით და გადაწყვეტილებით გრძელვადიანი ხედვით ამოვიდეთ მისგან.

ყველა კრიზისული პერიოდი გაურკვევლობითა და არამდგრადობით ხასიათდება. ამის წინააღდმეგობრიობა ის არის, რომ რამდენადაც ასიათასობით ადამიანია ამ ვირუსით ინფიცირებული, იმდენადვეა მსოფლიო საზოგადოება თავად გაურკვევლობით და არამყარობის განცდით შეპყრობილი, რაც თავად ამ ვირუსზე მეტი უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება. ყველა კრიზისის დროს, და არა მხოლოდ კრიზისის გავლის შემდეგ, უნდა გამოითქვას მოსაზრება, რათა, ერთი მხრივ, გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან, და შემდგომ ადეკვატურად გავაანალიზოთ იგი, სამომავლოდ უკეთ რომ გავითვალისწინოთ მისი გაკვეთილები. ეს, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება იმ უბრალო მიზეზით, რომ სახელმწიფო და საზოგადოება თვითკმაყოფილების სიტკბოებაში იძირება და ყოველ გადალახულ კრიზისს თავისი სიძლიერის დასამტკიცებლად და სხვებზე გავლენის განსამტკიცებლად იყენებს. ეხლა კი ეს მოცემულობა დრომოჭმულია.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე კრიზისი სხვებისგან განსხვავებულია, მაინც გვაქვს შესაძლებლობა მისი წინასწარი ანალიზისათვის. ამ შემთხვევაში, შეიძლება განსაკუთრებით გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი.

**ა) სახელმწიფოს როლი და დანიშნულება.** სხვადასხვა წლების ეკონომიკური კრიზისების პერიოდში, სახელმწიფოსადმი მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვანაირი იყო. 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს, მრავალი სპეციალისტი თვლიდა, რომ სახელმწიფოს ხელისუფლების/მთავრობის მიმართ რწმენა გაიზრდებოდა, თუმცა, საბოლოოდ, ეს ასე არ მოხდა. სახელმწიფოსადმი რწმენის გაზრდის მოსაზრებებს ადასტურებდა 1929 წლის ეკონომიკური დიდი დეპრესიის ფაქტი, როცა სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსგან მოითხოვდა მტკიცე, გადამჭრელ ნაბიჯებს საბაზრო ეკონომიკის (სამომხმარებლო და საწარმოო ბაზრის) გადასარჩენად დიდი სამთავრობო-ეკონომიკური ინტერვენციების მეშვეობით.

პანდემიის დროს, საზოგადოება მოითხოვს და ელოდება სახელმწიფოსგან ტოტალურ ჩარევას ამ კრიზისის მართვაში და მთლიანად სთხოვენ მას არა მხოლოდ საყოველთაო დაცვას მოცემული ვითარებისგან, არამედ მთელი ეკონომიკის (როგორც ინდუსტრიის, ისე სოფლის მეურნეობის) გადარჩენას.

შეიძლება ითქვას, რომ 2008-2009 წლების პარადოქსი ის იყო, რომ საბაზრო ეკონომიკისადმი უნდობლობამ არ გამოიწვია სახელმწიფოთა უმრავლესობისგან ეკონომიკური ინტერვენციების შემდგომი წახალისება. ამას ყველაფერს თავისი ახსნა ჰქონდა, რადგან სახელმწიფოები თავისი აგებულებით/მოწყობით/კონსტიტუციით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ეს განსხვავება არა მხოლოდ დემოკრატიულ და ავტორიტარულ/ტოტარიტარულ სახელმწიფოებს შორის შეინიშნება, არამედ თავად დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, თუ როგორია მათი დამოკიდებულება საბაზრო ეკონომიკისადმი. ლიბერალურ-დემოკრატიული თუ ნეოლიბერალური სახელმწიფოებისათვის საბაზრო ეკონომიკა, ყოველგვარი რეგულაციებისა და შეზღუდვების გარეშე, თავისუფალი საზოგადოების არსებობის შეუვალი პოსტულატია. სინამდვილეში კი, გარკვეული სოციალური „შეზღუდვების“ გარეშე, საბაზრო ეკონომიკა შეიძლება შრომის ექსპლოატაციის საუკეთესო შესაძლებლობად იქცეს, რა შემთხვევაშიც განაწილებითი თანასწორობის პრინციპი სრულიად მორღვეულია და არ ხორციელდება ადამიანთაგან ერთმანეთის თანასწორი აღიარება. ამის საპირისპიროდ, დემოკრატიული სახელმწიფო მაშინ არის მართლაც თავისუფლების გარანტი, როდესაც ის სამართლებრივი და სოციალურია, როდესაც ყველა მოქალაქისთვის სიკეთეთა გადანაწილების თანასწორი და სამართლიანი პრინციპებია განხორციელებული: მაგალითად, ისეთები, როგორიცაა ყველასთვის თანასწორი ხელმისაწვდომობა განათლებაზე და ჯანმრთელობის სამედიცინო დაზღვევაზე. ამიტომ, ამ კრიზისმა შეუზღუდავი აბსოლუტური/ტოტალური საბაზრო ეკონომიკის ჭეშმარიტებაში შეიძლება გამოიწვიოს და ალბათ უკვე გამოიწვია კიდეც სერიოზული ეჭვები. თავად ტოტალიტარული/ავტორიტარული სახელმწიფოებისთვის და მემარჯვენე პოპულისტური მთავრობისთვისაც, რომლებიც დემოკრატიულ სივრცეში არსებობენ ხოლმე, ეს გამოწვევა მათი ფუნდამენტის რღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს, იქიდან გამომდინარე, რომ რწმენა ავტორიტეტში, ტოტალურობაში ირღვევა, როდესაც მას მასებისთვის პრობლემების გადაჭრა აღარ ძალუძს. სწორედ ახლა, ამ კრიზისის დაძლევისას, ძალმომრეობითი მთავრობა ისეთივე უსუსური ჩანს, როგორც, დიდწილად, ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოებები.

თქმული განსაკუთრებით იმით არის მნიშვნელოვანი განაზრების საგანი, რომ უახლოეს მომავალში, ამ კრიზისის განმავლობაში, ყველა მთავრობა და მმართველობა შეიძლება დადგეს საშინელი დილემის წინაშე: ან მოახდინონ ეპიდემიის შეძლებისდაგვარად სწრაფი და მაქსიმალური ლოკალიზაცია, რამაც შეიძლება ეკონომიკის ჩამოშლა გამოიწვიოს, ანდა გადახდილ იქნეს დიდი ფასი და ადამიანთა სიცოცხლე შეეწიროს ეკონომიკის განვითარებას. თუმცა, ეპიდემიის შედეგებზე ჯერ ალბათ ადრე და ძნელია საუბარი. ყოველ შემთხვევაში, რა და როგორი გადაწყვეტილებებიც არ უნდა მიიღონ, სახელმწიფოების მიერ ეს სრულ თანხმობაში უნდა მოდიოდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და ცალკეული ინდივიდის/ინდივიდების ინტერესთან და არ უნდა ჰქონდეს ადგილი ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების თვითნებურ გადაწყვეტილებებს, რაც ამ კრიზისულ სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებს.

**ბ) შემობრუნება ნაციონალიზმის თუ ნაციონალური სახელმწიფოს იდეისაკენ.** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა, რომელიც პანდემიის შედეგად წარმოიშვა, მიმდინარეობს არა ზოგადად მსოფლიოში, არამედ თვით ევროკავშირის შიგნით. იმ ტიპის ქვეყნებმაც კი, რომელთათვის ძირითად ღირებულებებსა და საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს ინტერნაციონალიზმი და სახელმწიფოთაშორისი სოლიდარობა წარმოადგენდა, უკან გადადგეს ნაბიჯი ნაციონალური სახელმწიფოების სასარგებლოდ. იქნებ ეს დროებითი თავდაცვითი ინსტინქტის გამოვლინებაა? ასეა თუ ისე, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის შიგნით სახელმწიფოებმა ჩაკეტეს საზღვრები ეპიდემიისგან თავდაცვის მიზნით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საშიშროების დაძლევისა და ამ მძიმე მდგომარეობიდან შეძლებისდაგვარად ნაკლები დანაკარგით გამოსვლის პროცესში, მსოფლიომ და ევროკავშირმა აირჩია ნაციონალური სახელმწიფოების როლის გაძლიერება.

მართლაც, ამ ვითარებაში, დღევანდელი გადასახედიდან, ერთი შეხედვით თითქოს აშკარაა, რომ თითოეული სახელმწიფო მხოლოდ თავის მოქალაქეებზეა კონცენტრირებული და სოლიდარობის ერთაშორისი პრინციპი თუ მთლიანად არ მიიკარგა, უკანა პლანზე მაინც გადაიწია. თუმცა, ნაციონალური სახელმწიფოების როლის წინ წამოწევამ არ უნდა გამოიწვიოს (და ალბათ ვერც გამოიწვევს) მსოფლიოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და აკადემიური დეზინტეგრაცია, რასაც, თავის მხრივ, მომავალში კიდევ უფრო მეტი და მძიმე კრიზისების გამოწვევა ძალუძს, რამდენადაც ნაციონალური სახელმწიფოებიდან ნაციონალისტურამდე და შოვინისტურამდე მცირე ნაბიჯი რჩება, თუ ნაციონალურობის, ინტერნაციონალურობის და სოლიდარობის ბალანსი არ შენარჩუნდა.

აშკარა ფაქტია, რომ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფმა ევროპულმა სახელმწიფოებმა დროულად შეამჩნიეს ზემოაღნიშნული რისკები და პანდემიით გამოწვეული პირველი შოკის შემდეგ, კვლავ აქტიურად ჩაირთო უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის ეფექტური მექანიზმები (მაგალითად, იტალიელი და ფრანგი/ელზასელი პაციენტების მკურნალობა გერმანიისა და შვეიცარიის კლინიკებში, ექიმებით, სამედიცინო ეკიპირებით მხარდაჭერა, ევროკავშირის მიერ დაანონსებული, პოსტ-კრიზისულ პერიოდში ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გამზადებული უზარმაზარი ფინანსური რესურსები და ა.შ.)

ამავდროულად, თვალშისაცემია, რომ ევროპის, უფრო მეტიც, ევროკავშირის წევრი რამდენიმე ქვეყნის ლიდერი, ფაქტობრივად, ცდილობს საკუთარი ავტორიტარული მიდრეკილების პრაქტიკირებას და მის განმტკიცებას ნაციონალური სახელმწიფოს იდეის გაძლიერების წინა პლანზე წამოწევით, რაც აუცილებლად მოითხოვს ყურადღებას და მასზე შესაბამის რეაქციას.

რადგან კორონა-კრიზისის ამჟამინდელი ეპიცენტრი ევროპაშია, მასზე რეაგირების დინამიკიდან შესაძლოა გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდიც, რომ აღნიშნული კრიზისი არათუ ბრიუსელიდან ცენტრიდანული პროცესების, არამედ ევროკავშირის კონკრეტული ერთიანი პოლიტიკების (მაგალითად, ფინანსურის, სამხედრო და სამხედრო/პოლიტიკურის) კიდევ უფრო მეტად გაძლიერების კატალიზატორიც კი შეიძლება აღმოჩნდეს, რაც ევროკავშირის ყველა ქვეყნის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს. ისტორიულად, სწორედ მსგავსი მასშტაბის დიდი კრიზისები იძლეოდნენ დიდი ნახტომების განხორციელების შესაძლებლობას, რომელთა განხორციელებაც, ჩვეულებრიობის შემთხვევაში, მიუღწეველ მიზნად რჩებოდა ხოლმე.

**გ) გლობალიზაცია/ანტიგლობალიზაცია.** კორონავირუსის კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა გლობალიზაციის/ანტიგლობალიზაციის პრობლემაც. ანტიგლობალისტებს შეიძლება დღეს, ერთი შეხედვით, სიმართლეც თავის მხარეს ჰქონდეთ, როდესაც ერების გადარჩენის საშუალებად ამ პერიოდში დახურულ საზღვრებს, აეროპორტებს, საზღვაო პორტებს და სახმელეთო მიმოსვლის სხვადასხვა საშუალებებს წარმოადგენენ. მაგრამ, თუ ანტიგლობალისტების სიმართლე ამ ეტაპზე გატარებულ და გასატარებელ დროებითი ღონისძიებების სისწორეზეა დაფუძნებული, მათ მაინც არ გაეჩნიათ პრობლემის გადაჭრის ძირეული, არსობრივი ხედვები/გზები. რა არის ან რა იყო გაგებული გლობალიზაციაში? და როგორ შეიძლება ვისაუბროთ გლობალიზაციაზე, როცა მსოფლიო ერთმანეთთან დაპირისპირებულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ანდა ერთმანეთის მაგნორირებელ სამ-ოთხ ბანაკად არის დაყოფილი? თუ ეს ასეა, მაშ რა არის ის ბაზისი, რომელიც გლობალიზაციაზე საუბრის შესაძლებლობას გვაძლევს? სინამდვილეში, ხომ არ არის გლობალიზაცია მსოფლიოს მმართველ ბანაკთა მცდელობა თავიანთი იდეოლოგია და ეკონომიკური მოდელები თავს მოახვიონ მათი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებს? და ამით კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი გავლენის სფეროები? ხომ არ გამოიწვევს * თუ უკვე არ იწვევს * ეს დაპირისპირება სიტუაციის ესკალირებას მომავალში, რაც, თავის არსში, გლობალიზაციის საწინააღმდეგოა? ჩვენი აზრით, ეს ასე არ იქნება, თუ გლობალიზაციის პოზიტიური კონოტაცია ერთაშორისი თანასწორობის, აღიარების და სიკეთეთა თანასწორი გადანაწილების იდეაზე დაფუძნდება. საგულისხმოა ის, რომ მსოფლიო „გლობალიზაციის“ დაპირისპირებული ბანაკების მთავარი იდეოლოგები თავად გამოეთიშნენ კორონა-კრიზისის დროს ამ პროცესს და თავის თავში ჩაიკეტნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ იდეოლოგიური დაპირისპირების მიუხედავად, თავიანთი ეკონომიკური მოგების მიზნით, ეს ბანაკები არა თუ თანამშრომლობენ, არამედ რეალურად (იმპლიციტურად და ლატენტურად მაინც) აძლიერებენ კიდეც ერთმანეთს გავლენის სფეროების განმტკიცება-გაფართოებისთვის ბრძოლაში. გამოდის, რომ ეს პრობლემაც სრულიად ახლებურადაა გასააზრებელი (მითუმეტეს, პატარა სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ძირითადად, თავიანთი შეზღუდული ძალებით უწევთ ამ და სხვა კრიზისებთან ბრძოლა). რადგან ყველა ერთ სამყაროში, დედამიწაზე ვცხოვრობთ, ერთმანეთისგან განცალკევება, ერთმანეთისთვის საზღვრების გრძელვადიანი ჩაკეტვა, ვირუსის გავრცელებას ვეღარ გააჩერებს, რადგან ვირუსიც ერთიანი ეკოსისტემის ნაწილია.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲫᲔ**

# გაითვალისწინეთ ორი მთავარი რამ: პირველი – სიმშვიდე, მეორე – ასევე სიმშვიდე

**გიორგი ჭაუჭიძე**
*მარნეულის №2 საჯარო სკოლის „ქართული, როგორც მეორე ენის“ და ისტორიის მასწავლებელი, „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2019-ის“ გამარჯვებული*

*#დარჩისახლში – მე, როგორც მასწავლებელმა, რამდენიმე მიმართულებით მინდა გავშალო ჩემი აზრები: სამინისტროს მიმართ, მშობლების მიმართ და მოსწავლეების მიმართ.*

## ✓ სამინისტრო

*საბედნიეროდ, ჩვენ არ ვცხოვრობთ ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც ერთი ჯოხის დაქნევაზე სწავლების ერთი ფორმატი შეიცვლება მეორე ფორმატით. ამიტომაც სამინისტრო გონივრულად უდგება საკითხს, როდესაც მხოლოდ ჰეკომენდაციებითა და რჩევებით შემოიფარგლება ონლაინსწავლების დანერგვასთან დაკავშირებით.*

*ამასთან, მასწავლებლებსა და სკოლებს ეძლევათ მრავალფეროვანი თავისუფალი არჩევანის საშუალება, რათა მოსწავლეებამდე სხვადასხვა გზითა და საშუალებით მიიტანოს შემეცნებითი სიტყვა.*

*ვფიქრობ, სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს და დროულად წარმოადგინოს ე.წ. ონლაინსწავლების კონცეფცია, სადაც, სხვათა შორის, განერიული იქნება, თუ რა თავისუფლებებს, უფლებებსა და ვალდებულებებს აკისრებს სკოლასა და მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს. ჩემი აზრით, ყველაზე ადეკვატურ გამოსავლად მესახება, თუკი სახელმწიფო ყველა მოსწავლეს აკადემიურად წარმატებულად ჩაუთვლის მიმდინარე სასწავლო წელს და მიანიჭებს სრულ თავისუფლებას სკოლებსა და მასწავლებლებს, რათა მათ ენთუზიაზმზე დაფუძნებით მოჰფინონ მოსწავლეებსა და სტუდენტებს საგანმანათლებლო ცოდნული ჰესურსები. რამდენადაც მე თვალს ვადევნებ სოციალურ ქსელებში მასწავლებელთა აქტიურობას, ასეთი მოლოდინის არსებობა სრულიად ჰეალურად მესახება (პირადად მე უკვე გავაზიარე ამ კარანტინობისას შექმნილი ორი ცოდნული ჰესურსი, – „წელინადის დროები" და „ნოთელქედა", ამჟამად ვმუშაობ „ორ ლორზე").*

## ✓ მშობლები

*ვფიქრობ, მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ ორი მთავარი რამ: პირველი – სიმშვიდე, მეორე – ასევე სიმშვიდე. არ უნდა ინერვიულონ თავიანთი შვილების სასწავლო ჩარმოჩენასა და სხვაგვარ საჭიროებებზე. თუკი საშუალება გამოჩნდა შვილებთან დროის გატარებისა, ეს განუზომლად დიდ სარგებელს მისცემს ბავშვებს, ვიდრე... თუნდაც ფორმალიზებული ონლაინგაკვეთილები. თუმცა, რაც კარი საშუალება იქნება, ბავშვებს უნდა დავეხმაროთ ცოდნული შემეცნებაშიც. მოკლედ, ამ სიტუაციას შეუძლია ბედნიერებაც მოგვიტანოს: დანყებითი კლასების მოსწავლეებისთვის დიდი ბედნიერება იქნება მშობლებთან ერთად ჩაღაცების კეთება, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებისთვის იქნება დიდი ბედნიერება შვილებთან ერთად ჩაღაცების კეთება...*

*ასევე, გაიხსენეთ, რომ არიან ბავშვები, რომლებსაც სულ არ ჰყავთ მშობლები და ბებია-ბაბუებიც... ისევე, როგორც ბევრს შვილებიც არ ჰყავს...*

*მოკლედ, მშობლებს შვილებთან ურთიერთობის დრო გამოუჩნდათ და ეს კარგია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შინ უქმად ჯდომით საქმე-სასმელს დიდხანს არავინ მოგვიტანს. ამიტომაც შინაც შეიძლება საქმეების კეთება, მით უმეტეს სოფლად, და, რაც მთავარია, თუკი არავინ გვიკრძალავს, ვიმუშაოთ სათანადო ჰიგიენის წესების დაცვითა და სოციალური დისტანციერებით გარეთაც.*

## ✓ მოსწავლეები

*მე მინდა მივმართო იმ მოსწავლეებს, რომლებსაც წიგნების კითხვა არ უყვართ, და ასეთია, სამწუხაროდ, მოსწავლეთა ორი მესამედი.*

*იცით, რამდენი საინტერესო რამის აღმოჩენა შეგიძლიათ სახლის წიგნების კარადებში ან ონლაინბიბლიოთეკებში? შეჩრევაც მარტივად შეგიძლიათ. დანერეთ უცებ სტატუსს, მაგალითად, ასეთს: „ვარ მეშვიდე კლასში... რის წაკითხვას მირჩევთ? გთხოვთ, მოკლედ დამინერეთ არგუმენტებიც, თუ რატომ უნდა წავიკითხო თქვენ მიერ შერჩეული წიგნი..." საკმარო რჩევას მოაგროვებთ, რომ იცით, მხოლოდ მასწავლებლებს არ გვიყვარს სწავლება და რჩევების მიცემა... ჰოდა, დაიწყეთ!..*

*მინდა გთხოვოთ, რომ არც თქვენ ინერვიულოთ იმის გამო, რომ შეიძლება ვერ ჩაერთოთ ან დროულად ვერ ჩაერთოთ სკოლის მიერ შემოთავაზებულ გაკვეთილებში. შეიძლება, ჩაგეძინოთ ან სათანადო მონყობილობა (ტელეფონი, სმარტფონი, ლეპტოპი...) არ გქონდეთ ანდაც ინტერნეტი არ იჭერდეს და ქედავდეს ან სხვა ქალაქსა თუ სოფელში იყოთ წასული ბებია-ბაბუასთან და იქ ვერ მოახერხოთ ტექნოლოგიურად გამართვა... არა უშავს... სახელმძღვანელოები ხომ გაქვთ? სხვა მხატვრული და არამხატვრული წიგნებზეც ხომ მიგინვდებათ ხელი?! ჰოდა ზოგიერთი წიგნის წაკითხვა ზოგჯერ და არცთუ იშვიათად ჩვენ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებსაც კი ჯობია... ასე რომ, იკითხეთ და იკითხეთ!*

*რაც მთავარია, მშობლები და ბებია-ბაბუებიც ჩართეთ თქვენს თამაშებში. არ მოეშვათ, თუკი უარს გეტყვიან – ახლა ხომ მაინც ვერ იმართლებენ თავს, არ გვცალიარ?! თავიდან გაუჭირდებათ და თანდათან მათაც მოეწონებათ...*

*კიდევ ერთი რამე მინდა ვუსურვო მოსწავლეებს, რაშიც მე ვერ დავიკვეხნიდი მოსწავლეობისას და ამაზე დღემდე მწყდება გული... ვარჯიში... ფიზიკური ვარჯიში. დილასაღამოს 15-20 წუთით ნავარჯიშება საოცარი ენერგიითა და განწყობით ავსებს ადამიანს... მიუჩვეველ ბავშვებს პირველ დღეებში დაეზარებათ, მაგრამ მერე და მერე მათაც გაუტყბებათ და როდესაც თავისუფლად გავალთ ქუჩებში, სულ სხვანაირი მიმოხრით დავინყებთ სიარულს...*

*ჰო... რატომ არ მივმართავ კითხვის მოყვარულ იმ მესამედს? მათ ძალიან კარგად იციან, თუ რა უნდა აკეთონ მაშინ, როდესაც სასკოლო გაკვეთილები არ არის. მათ ხომ სკოლის შემდეგ შინ მისვლა იმიტომაც უხარიათ ხოლმე, დანყებული წიგნის კითხვა გავაგრძელოო... ერთადერთი, ნინა ჩრევას თუ გაითვალისწინებენ და ფიზიკური ვარჯიშისთვისაც მოიცლიან, ძალიან კარგი იქნება.*

*ნაველი... „ჰარი ჰოტერი" უნდა გავაგრძელო, მეც ახლა დავინყე... აი, ფიზიკური ვარჯიშების დანყება კი ჯერ ვერა და ვერ მოვახერხე...*

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.